

გეორგიული საკართველო



ქართული ეროვნული საგზონო ორგანო

„LA GEORGIE COMBATTANTE“

PRIX: 50 F.

MENSUEL

N° 16

აგვისტო - სექტემბერი — 1953 — AOUT-SEPTEMBRE

N° 16

უიწაარსი:

აჯანყება

ანჩინ — ორ ბანაკ შორის.

კ. გვარჯალაძე — დიდმცრობელთა მოვიწინიში.

გრ. ურატაძე — საქ. კომუნისტურ პარტიაში.

ქორანიკონი — აგვისტოს აჯანყების მსხვერპლთ.

მოგზაური — მოსკოვი და ანლო აღმოსავლეთი.

აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობიდან.

ვალ. — ღია წერილი X-ს.

კ. გვარჯალაძე — ლადო ბაქრაძე.

გრ. ურ. — დავეით კახელაძე.

იოს. გობეჩია — წერილი რედაქციის მიმართ.

ქრონიკა

აჯანყება

ქართველი ერის განაგრძობს გოლგოთის გზით სვლას. მისი მიწა - წყალზე მტერი მტერის სცელიდა, მაგრამ ისინი მტრად მოდიოდნენ და ამას არ მალავდნენ, ეს მათ დროშაზე ეწერა.

1921 წლის თებერვალში, მას იყოფიან სიფლიდით და ვერაგობით მოსტაცეს დამოუკიდებლობა. მოსკოვის ჯარის მას მოეგლინა „გასანთავისუფლად“. ჩრდილოეთის იმპერიალისტებმა თავიანთ ბოროტ საქმეს ვერ გაუბედეს ნამდვილი სახელის დარქმევა და „სამართლიანობის და თანასწორობის“ სახელით გააწითლეს ქართული სხეული მისი სისხლის ნაკადულებით. შენძარავი ძალი მყევარ ძალზე უარესია. ქართველი ერი აიჭორა. მან თავისუფლების დაკარგვასთან ერთად სინდისის წაბილწვაც იქრძინო და დამოუკიდებლობის დღეებში განმტკიცებულ მთლიანობის ძალით ურცხვ ოკუპანტების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში გადაეშვა. დაიპყრეს საქართველო, გაათლეს მისი უფლებები და მტერმა გააძევა ეს დანაშაული ღვთის წყალობათ მიერთშია ქართველი ხალხისათვის. ჩრდილოელი დათვი შეეცადა ქართული სინდისის დაპატრონებას მოტყუებით. ეს მეტი იყო ვიდრე ქართული და ადამიანური მოთმინების ტყველობა. მას შეუგინეს თავისუფლება და ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი იყო, რომ განსაზღვრავდა თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმძაფრეს და შეურიგებლობას.

1924 წლის აჯანყების სათანადო დაფასება შეუძლებელია თანამედროვეთათვის. ხშირად, მისი მეგობრებიც ამ ფსიქოლოგიურ ფაქტორს სთვლიან იმ გადამწყვეტ მომენტად, რომელმაც აჯანყება გამოიწვია, მაგრამ სინამდვილე არც ასე მარტივაა. აჯანყების გეგმა იმყარებოდა ცივ ანგარიშს, ადგილობრივ ძალთა განწყობილებას — მეზობელ ორგანიზაციების სიძლიერეს და მომზადებას და მტრის განკარგულებაში ადგილზე მყოფ ძალების შეფასებას. დამოუკიდებლობის კომიტეტის მოსაზრებებში ერის ფსიქოლოგიური განწყობილება შედიოდა, როგორც ვამაერთიანებელი, მამოძრავებელი ძალა მტრის ბანაკში პანიკის და დაბნეულობის შესატანად. მისი მოქმედების გეგმა კი იყრდნობოდა პირობების მიერ მოცემული პერსპექტივებს. შეუძლებელია, ჯერ-ჯერობით ამ გეგმის დეტალური განხილვა. იმის დასამტკიცებლად, რომ ერი ამ დიდი ნაბიჯის გადადგმაში მხოლოდ და მხოლოდ გულის წყრომას არ აპყოლია. თუ რა უბედური გაუგებრობა მტერი აგვისტო - სექტემბრის ისტორიულ დღეებში საქართველოდან



აღიგეგბოდა. არ იყო გამორჩეული არც სხვა კავკასიელ მეზობლების ამოძრავება, არც საბჭოთა ციო ხელისუფლებას კავკასიის ქედის ჩრდილოეთით გადასვრიდა. ცხადია, არსეინ იცას რა მოხდებოდა შემდეგ, მაგრამ აჯანყების ამოცანის განაღდების ყოველი მხარე აწონილ - დაწონილი და გამოსანგაზრებული იყო. როგორც შემოდ აღენიშნეთ, საბედისწერო გაუგებრობამ მტერი 12 საათით აღრე გააფრთხილა და გეგმას ლახვარი ჩასცა.

დამარცხდა აჯანყება, მაგრამ მისმა დამარცხებამაც მტერი დააფრთხო და დაბნია. შეშინებული დამპყრობელი სასოწარკვეთილის უკანასკნელ გააფრთხილებით დაერია ამხედრებულ ერს, რომელმაც ამ ტრალიკულ დღეებში თავისი სიმწიფის, კეთილშობილების და თავისუფლების უტეხი გადაწყვეტილების სახელოვანი ფურცლები დაუშტა მისი ისტორიის მოწამებრივ მატინესს.

დამარცხდა აჯანყება, ქართულ საქმეს განუკითხავად შეეწია თავდადებულთა ლეგიონები ბრძოლის ველზე, ცხენებში, გადასახლესში.

იმ დროს, როცა აქვითინებული გულდამწვარი ქართველი დედები ბრძოლის ველზე განდმირულ შეილებს ეძებდენ, ოკუპანტები გამარჯვების დოღს გადადიოდენ. ვისაც იმ დღეებში ტფილისის ქუჩებში გაუფლია, მისი ხსოვნიდან არი ამოიშლება ჩეკისტების სულმდაბლური დაცინვა ერის საყოველთაო დოღოვანზე. მათი ფანჯრებიდან იფანტებოდენ მხარული სიმღერის და მუსიკის დამცინავი ბგერები, დასერილ გულს რომ შეტრაცხმყოფელი ისრებათ ესობოდენ. ამ აუუტანელი ვერაგობით მტერმა კიდევ მეტად გააღრმავა უფსკრული ქართველი ხალხისაგან, რომ მას ამორებდა და მისი სურვილის საწინააღმდეგო შედეგით დასეშუვა. დაჭრილი ერის კვლავ გაეჭანა, მწუხარებას, გლოვას თავი მიაწება და აჯანყების გამოცდილებით შეიარაღებული, გაორკვეებული ენერგიით შეუდგა ბრძოლის გაგრძელებას. მებრძოლ ორგანიზაციე-

ბის სასწრაფოთ აღდგენილმა ხელმძღვანელებმა დაარბეულ ძალების მოსაკრებად მიმართა ერთ ორიგინალური ხერხს: მისი წევრები დადიოდენ ვადარჩენლ ორგანიზაციებში და ცდილობდენ მათი ვანწყობილების გაგებას, შემდეგი მიმართვით: ხედავთ მეგობრებო, ვიბრძოლეთ, დავმარცხდით; აუარებელი მსხვერპლი დავგიჯდა აჯანყება, მტერი ძლიერია; იქნებ სჯობდეს, ჯერჯერობით მანც, ბრძოლა შეევანელოთ და დავზოგოთ ჩვენი ძალები. ეს მოსაზრება ისევე მიუღებელი აღმოჩნდა ამ ტრალიკული დღეების შემდეგ, როგორც მანამდი. „როგორი თუ ბრძოლა შეევანელოთ; შეიძლება დღევანდლამდე კიდევ ფიქრობდა ვინმე, რომ ოკუპანტებთან რამე ენის გამონახვა შეიძლებოდა, დღეს ხომ ვხედავთ რა ვერაგია ის. ბრძოლის გაგრძელება ერის არსებობის აუცილებელი საწინდარია, ერმა თავის შეილთა სისხლი უნდა აიღოს“-ო. ასე აღსდგა მებრძოლი აპარატები და ახალ ნიდაგზე გააერთიანა წამებული ხალხი. ბრძოლა გრძელდება, მაგრამ პირობები შეიცვალა.

დღეს მთელი კაცობრიობა გრძნობს, რომ ქართველი ხალხი მარტო თავის მტერს არ ებრძოდა. ის მსხვერპლს იღებდა და იღებს საერთო თავისუფლების და ცივილიზაციისათვის. ის ებრძოდა და ებრძვის ადამიანობის, კაცობრიობის შეუფრევებელ მტერს, საუკუნის გაუგონარი სიმასხინჯეს.

მადლიერების გრძნობით ერის მიერ დღისმშობლის, ხსოვნისათვის მიძღვნილი თვის—მარიაშობისთვის — უკანასკნელი დღეები მტერმა მამულიშვილთა წმიდა სისხლით შედგა.

აჯანყების დატეხი ჩვენს მატინესს არი აკლია. თავისი უფლებების დასაცავად სხვა ერებსაც მიუწმართავთ ამ ხერხისათვის, მაგრამ არი არსებობს მთელი ერის მართოთ, მთლიანი და ერთდროული აფეთქების ასეთი მსგაღიით. ამიტომ იგი, ერთა მოძრაობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღია, ქართველი ერის წმიდა სისხლით ნაკურთხი და დადგენილი.

მ რ ბ ა ნ ა კ ს უ რ ი ს

პრეზიდენტი აიხენშაუერი თავის შესავალ (ინოვაციურად) აწ უკვე ისტორიულ სიტყვაში, ამა წლის 20 იანვარს, აცხადებდა, რომ პირველ მსოფლიო ომს „საიმპერიო ტანტების დამსხვრევა და ახალი ერების დაბადება მოჰყვა“-ო. ერები, რომელთაც პატრიკებელი ორატორი

გულისხმობდა, მართალია, „ახალი“ არი არიან, არა ერთხელ „დაბადებულან“ და დღეს კი „სატელიტებად“ ქცეულან: პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინია, ბოლგარია, ალბანია, ლიტვა, ლუატვა, ესტონია.



**

ზემო თქმული გვაგონებს მეორე არა ნაკლებ ღირსშესანიშნავ ინოვაციურ სიტყვას პრემიერ მალენკოვისა, ამხვე წლის 8 აგვისტოს, კავშირის და ეროვნებათა უმალლეს საბჭოს წინაშე.

პრემიერი მალენკოვი ერთხელაც არი ახსენებს თავის გუშინდელ ალას სტალინს, რომლის კონსტიტუციაშია სწორეთ დაკანონებული უმალლესი საბჭო.

კიდევ მეტი, იმავე კონსტიტუციაში აღიარებული არაარსებობს ერთა თვითგამორკვევის უფლება მთლათ განცალკევებამდე, და ეს პრინციპი კი თვით ლენინმა წამოაყენა 1917 წ. ოქტომბრის გადატრიალების ადრე.

ზოლშევიკების სტატისტიკა არც იმას მალავს, რომ ეს ქრები ერთად ირუსის ხალხს, ველიკოროსებს, სჭარბობენ რიცხვით.

**

პრემიერი მალენკოვი იმის წინაც არ იხევეს თანასწორობის ხაზი გასწვას კავშირის არარსებობს ერთა და სატელიტებს შორის. დახეთ, ის პირველთ თითქო უპირატეობასაც აკუთვნებს, რადგან მხოლოდ მათ ეგაჩნიათ რუსებთან ერთად, უმალლესი საბჭო, რომლის წინაშე ქედს იხრიან მეორენი.

სტალინმა გ. ი. კომიდაც კი შეაყოფინა თავი ბელორუსიას და უკრაინას მხვავესად პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიას, და მზად იყო კავშირის მთელი 16 რესპუბლიკა, მათ შორის კავკასიის და თურქესტანის რესპუბლიკები, შეეყენა იქ.

თუმცა ერთგვარ ულოლიკობას კი სჩადის კრემლი, როცა ის უარს ეუბნება ამერიკის შეერთებულ შტატებს და დიდ ბრიტანეთს, თავისი ელჩები იყოლიონ მინსკსა და კიევი.

**

მაგრამ არი უნდა გამოვეჩრჩეს ერთი სიმბოლური ფაქტიც, მომხდარი თითქმის იმავე დღეს, რა დღესაც პრემიერი მალენკოვი მქერმეტყველობდა. აღმოსავლეთ გერმანიის პოლიტიკოსს დაუდგენია: **17 ივნისი**, თარიღი მუშათა აჯანყების ბერლინში, როცა კრემლის ვეება დროშა დიდის ზეიმით დასწვეს უნტერ დენ ლინდენზე, ამიერიდან ამოღებულ იქნას დროთა ბრუნვიდან და მის ნაცვლად იწერებოდეს **16 ივნისი!**

რატომ? — იკითხავთ — ეგი იყო „გადაცმული ამერიკელების“ საქმეო — ბრძანებს პოლიტიკოსო!

მაგრამ იგივე მუშები, წერილი ვაჭარს - ხელოვნები და გლეხებიც ასია - ათასობით რომ აწყდებიან დასავლეთ გერმანიის ზონას, რათა მიიღონ სწორედ ამერიკის ხეთ - ხეთი კილო ტოპსიკები, სავესე ფქვილით, ძეხვით, ფქვილად ქნის რძით მავშებისათვის და სხ. — ეს ვისი ბრალია?

**

პრემიერი მალენკოვის არ შეეძლო, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ დაეცოვებოდა სადღესო კითხვა — კორუფა დროებითი ზავი, რისთვისაც მისი და მათ ცეტუნგის მთავრობანი თავადანვე იღვწოდნენ სამიოდე მილიონ „მონაღისეთა“ და იმდენივე ფერად - ფერად იარაღის საშეალებით და შემდეგშიც მზად არიან იმოღვაწეონ, თუ წელმა გაუძლო...


მაგრამ რაც მისთვის სრულიად დაუშვებელია — ეს სამხრეთ კორეას პრეზიდენტის სინმან რიის დაჩემება — არა, იარაღს არ დავეყრი, ვიომებო! პრემიერი მალენკოვის ჭკუაში არ დაუჯდა ისიც, რომ პრეზიდენტ აიზენჰაუერის მიერ მოგზავნილმა საგარეო მინისტრმა ფოსტერი დაღესმა მასვე ხელი მოუწერა პირობაზე სამხრეთ და ჩრდილოეთი კორეას გაერთიანებისათვის.

კიდევ კარგი, პრემიერი მალენკოვი არ უკიჟინა პრეზიდენტ სინმან რიის დიქტატორი ხარო! მართლაც და, მსოფლიოში უდიდეს „დემოკრატიულ და ხალხურ“ სახელმწიფოს მეთაურს აბა როგორი შეეძლო თავი დაეყადრებინა მისთვის, და გულში მსიცი იყიფიქრა ალბათ, რომ ეს როლი „ბურჟუაზიულ და იმპერიალისტურ“ ამერიკის მეთაურს უფრო შეშვენისო.

**

დროებითი ზავი ხომ მუდმივი ზავით უნდა დაბოლოვდეს, და ამისათვის კი საქირთა პოლიტიკური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ მეომართა დელეგატებმა: ერთის მხრით კორეა, კომუნისტური ჩინეთი და საბჭოთა კავშირისაგან და მეორე მხრით გ. ი. კომ 16 წევრი სახელმწიფოსაგან შეერთ. შტატების მეთაურობით.

და ეს მარტივი, თავის-თავად მისახვედრი კითხვა სადაოდ ეახადა საბჭოთა დელეგატმა ვიშინსკიმ: არა, საქირთა მონაწილეობს მიიღონ



დიდგროგელური შოკინიჰი

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის რეჟებიდან ბერიას იარაღების და მისი დაპატიმრების ცნობის გამოქვეყნების შემდეგ, საბჭოთა კავშირში პარტიული საჯარო კრებები ხდებოდა. ამ კრებებზე ყველგან — რუსეთის ყველა ქალაქებში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიის ქვეყნებში, თურქესტანში, თუ კავკასიაში — ერთხმად იმეორებდნენ ბრალდებებს, ბერიას რომ მოსკოვში მალენკოვმა და სხვებმა წამოიწყეს. ამ ბრალდებათა შორის მთავარი იყო: ბერია ვითომც ათამამებდა და აქეზებდა საბჭოთა რესპუბლიკაში „ბურჟუაზიული ნაციონალისტურ“ ელემენტებს, მათი მფარველობდა, არღვევდა საბჭოთა კავშირის ერთი მეგობრობას — მათი ერთი-მეორესადმი დაპირისპირებით. ეს ბრალდებაც მოსკოვიდან, კრემლის დიდმკობრებულური სულისკვეთებით შეპყრობილ მესვეურთაგან მოდიოდა.

თბილისში, საქართველოს საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარე — ბაქრაძესთან ერთად ვიცე ვიცეშიც აცხადებდა: „ქართველმა ერმა თავისი ბედი შეუკავშირა რუსის ერის ბედს, რომ ის მისი უსაზღვრო მადლიერია უდიდესი დახმარებისათვის და არავითარ ბნელ ძალებს და უცხო იმპერიალიზმის აგენტებს არი ძალუბთ შეარყიონ საბჭოთა კავშირის ხალხთა მთლიანობა, ქართველი ერის ნდობა და სიყვარული მისი უფროსი ძმის, რუსის ხალხისადმი“ —ო. და აი ასეთი ნდობის და სიყვარულის განცხადებებს აკეთებდნენ ყოველგან, როგორც რუს, ისე ყველა არა რუს ეროვნებათა რესპუბლიკებში. ყველანი ბერიას აძაგებდნენ და კიცხავდნენ, მისთვის უშა-

არა მეომარ სახელმწიფოთა დელეგატებმაცო. გამათმა, ამ საგანზე ორ კვირაზე მეტი გასტანა, ჯერო გ. ი. ო-ის პოლიტიკურ კომისიაში, შემდეგ მისივე გაერთიანებულ სხდომაზე, და მხოლოდ 28 აგვისტოს დამთავრდა.

ვიზინსკი, მარათალია, სამარცხინოდ დამარცხდა, მსგავს თვით კონფერენცია შუა ოქტომბერს უნდა გაიხსნას, რომელიც უთუოდ დაუსურულელებლი ბრძოლის ასპარეზად იქცევა.

ამიტომ არი უნდა ვვიკვირდეს სინამ რიის მუქარა: თუ კონფერენცია სამ თვეში არ დამთავრდა, მე ომს ვიწყებო!

ანინ.

ლლეს სასჯელს მოითხოვდნენ. ასეთი ბრძანება იყო მოცემული მალდიდან და მის გადახვევას ვინ გაბუდავდა!

როგორც ევროპის პრესიდან ვიცით, ზოგ გულუბკერილო ევროპიელმა მართლდაც დაიჯერა, რომ ბერიას ვითომც ეროვნებათა თავისუფლების მომხრე და დამცველი იყო.

ჩვენ არი შევეხებით დეტალურად ბერიას „მოლდავრობას“ მისი მინისტრობის ხანაში, მის სასტიკ ბრძოლას ეგრედ წოდებულ „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ საქართველოში, თუ სხვაგან, მთელ საბჭოთა კავშირში. ეს ყველასათვის ცნობილი ამბავია. მაგრამ საჭიროა უმთავრესად, აღინიშნოს ერთი მხარე ამ მისი „მოლდავრობისა“.

ათეული წლების განმავლობაში ბერია სხვებთან ერთად ცდილობდა, ბრძანებებით და დაშინებით ქართული მწერლობისათვის მიეცა სპეციალური მიმართულება. ის არი ითმენდა ქართველი მწერლის ინდივიდუალური ნიჭის თავისუფლად გაშლას და განვითარებას. ის სასტიკად ებრძოდა ქართველი მწერლის შემოქმედებაში ხალხის ნამდვილ ეროვნულ სულიანკვეთების გამოვლინებას, მისი ცხოვრების სხვადასხვა მხარის ასახვას და დაცვას. მის აინტერესებდა მხოლოდ საბჭოთა რეჟიმის, ჩვენი ერთსათვის ამ უცხო და მიუღებელ სოციალური წყობის საქართველოში დამყარება და განვითარება. იმით უნდა ეწერათ არა სხვებისაგან გახსხვავეულ ქართველი კაცზე, თუ ქართველი ეროვნებაზე და აღინიშნათ, თუ გინდ, მისი საუკეთესო თვისებები, არამედ უნდა ექოთ, ედიდებისათ და შეექნათ ყოველივე ეროვნების ზემოდი მდგარი „საბჭოთა აღამიანი“.

უიჩ მწერალთი ბერია ხერეტავდა (მიხეილ ჯავახიშვილი...); მისი მხეცური და უხეში მოპყრობის გამო ზოგი კი თავს იკლავდა (პ. იაშვილი) და სხვა. ბერია ყველაფერს შეგებოდა, რომ ქართული მწერლობა დაემახინჯებია და მისთვის წაერთვა ეროვნული სული. თუ მან ეს ეერი შესძლო, ეს მიეწერება ჩვენი ერის და მისი მწერლობის წინააღმდეგობას, გამძლეობას და ბრძოლას. მსგავს შეიძლება, ბერიამ ამ ბოლო ხანებში შესცვალა მისი მოქმედების გეზი?

გასული წლის გაზაფხულზე ბერია ჩამოვიდა



საქართველოში, გადასაყენა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა, და მათ შორის, პირველი მდივანი ჩარკვიანიც. ამით ადგილას ბერიას მიიქრ დაწინაურებული ახალი ხალხი საქართველოში აკრიტიკებდნ ჩარკვიანის მოღვაწეობას. მას უსაყვედურებდნ, რომ მისი დასტურით და ტოლოქრანტობით ქართველ მწერლობის „ბურჟუაზიული ნაციონალიზმს“ დიდი ვასადალი ჰქონდა: წარსულში რუს - ქართველთა ურთიერთ დამოკიდებულება შესაფერისად (ესე იგი ბოლშევიკურად — კ. გ.) არ შექდებოდა, ქართული ლიტერატურაში „დასავლეთურ“ განწყობილებას დიდი ადგილი ეთმობოდა და სხვა.

ბერიას „ბურჟუაზიული ნაციონალიზმობა“, თურმე. იმაშიდაც ვამოიხატებოდა, რომ ის ქართველ დეკანოზოვს და აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარეს — ბაგიროვს მეგობრობდა და მფარველობდა.

მაგრამ ცნობილია, რომ დეკანოზოვი ბერიას სპეციალური მონდობილობით იყო წარგზავნილი დამსჯელ ექსპედიციის ხელმძღვანელათ ლატვიანიაში. წითელი ჯარების საშუალებით მოსპო მან ამ პატარა ქვეყანაში ყოველგვარი თავისუფლება და რუსეთის შორეულ მხარეებში გადასახლა მისი საუკეთესო შეილები.

ბერიას მეორე მეგობარი ბაგიროვი იყო სასტიკი მოწინააღმდეგე ეროვნულ მოძრაობისა აზერბაიჯანში. კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობაზე ის თავმომწონეთ აცხადებდა, რომ მან „ფარდა ჩამოსადა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ შემოტევითი მანიფესტაციებს ლიტერატურაში, თუ ხელოვნებაში და შეუკრიგებელი ბრძოლა აწარმოვა იმით წინააღმდეგ, ვინც ამცირებდა და უარყოფდა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის ანექსიის დიდ მნიშვნელობას.

ნათქვამიდან ნათელია, რომ ბერია თავის ხალხს მეგობრობდა და სხვადასხვა პოსტებზე ნიშნავდა არა ეროვნული პრობლემათა კეთილგანწყობილებების მოსახრების, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად იყვნენ ისინი მისი სრული მონა - მოძრაილნი.

მაშ, რაშია საქმე? რატომ მალენკოვი და კრემლის სხვა მესვეურნი ბერიას აწერენ ისეთ რამეს, რაც მას აზრდაც არ მოსვლია? რად გამოჰყავთ ის „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ მფარველთა და წამქვებლათა და არა რუს რესპუბლიკების მქადაგებთ?

ზოგიერთების აზრით ბერია ცდილობდა მა-

ლენკოვის წინააღმდეგ პერიფერიებს, ჩაგრულ ერებს დაყრდნობოდა. ეს ეცრისია მართალიც რომ იყო, ასეთი რამ არსებითად მდგომარეობას ვერ შესცვლიდა. ბერია დროებით ამით ისარგებლებდა, თავის პირად პოზიციებს გაიმძაგრებდა, მაგრამ სანამ ის კრემლში იბატონებდა, რუსეთში მობინადრე ე რ ე ბ ს ვასაქანი და ნორმალური ცხოვრების საშუალება არ ექნებოდა. ასეთია ყოველი დიქტატორის ლოდიკა. საერთოდ კი, არასერიოზულია ის აზრი, ვითომც, საბჭოთა კავშირში არა რუს ერებზე დაყრდნობით და რუსის ერის გარეშე, თუ მის წინააღმდეგ შესაძლებელი იყო ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და იქ დიდი ხნით დიქტატორობის შენარჩუნება.

უმთავრესად საქმე იმაშია, რომ მალენკოვს და სხვებს ძალზე აწუხებს მოკავშირე რესპუბლიკებში ეროვნული საულისკვეთების სწრაფი ზრდა და ამ რესპუბლიკების ძლიერი კლკოლვა ტყვეობიდან განთავისუფლებისაკენ.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დაარსებისას ბოლშევიკები ფიქრობდნ, თუ ხალხი წერა - კითხვას კი ისწავლიდა, მხოლოდ კომუნისტურ ენაზეთებს იკითხავდა და მას შესაფერის პროპაგანდას გაუწევდნ, მოსკოვის ირგვლივ ყველას თავის მოყრა და ერთი ცენტრისადმი დამორჩილება ძნელი არ იქნებოდა. მაგრამ ეს საქმე ადვილი არ გამოდგა.

ეროვნული მოძრაობა საბჭოთა კავშირში დღითი - დღე ევითარდებოდა და მწიფდებოდა. ზოგი ერი, რომელიც წინეთ თავის ვინაობაზე არც კი ფიქრობდა, ათეული წლის მძაფრი მუშაობის პროცესში თავისი შეგნებით ნაწდვილ ერთ ხდებოდა, თავის ეროვნულ ინტერესებს იგნებდა და მჩაგვრელს ადვილად აღარ ემორჩილებოდა.

ეროვნულ მოძრაობის ზრდას ხანდახან მათი სურვილის წინააღმდეგ თვით ბოლშევიკებიც უწყობდნ ხელს. უკანასკნელი დიდი ომისათვის მზადების, თუ მისი წარმოების ხანაში, ბოლშევიკურ მწერლებს ავალებდნ დიდ ისტორიულ ამბებზე, თუ ცნობილ სამხედრო გმირებზე წერით და მოგონებებით ყოველგან შესაფერისი პროპაგანდა გაეწიათ და მით პატრიოტული გრძობები გამოეწვიათ. მაგრამ ერთა ეს პატრიოტიზმი ბოლოს თვით მოსკოვის წინააღმდეგ იქნა შიმართული. ჩვენ ვიცით, რომ ომის დროს სამხედრო ეროვნული ნაწილები მასაურად გერმანელების მხარეზე გადადიოდნ იმ



იმედით, რომ საბჭოთა რეჟიმი დაეცემოდა და ამას შედეგათ ერითა განთავისუფლება მოჰყვებოდა.

ეს მდგომარეობა კარგად გაიგო სტალინმა და ერთ თავის სიტყვაში 1945 წელს დიდ მხადლობას უცხადებდა დიდ რუსის ერს, რომელიც ომის დროს დაჩა ლიბალური და ერთგული ყველაზე წარჩინებული და უფროსი ძმა მოკავშირე ერითა შორის, რომელიც უნდა გახდეს მაგალითი ყველასათვის.

სტალინის ეს სიტყვა მიღებული იქნა როგორც ნიშანი და უმთავრესად, აქედან იწყება საბჭოთა პრესაში, თუ ლიტერატურაში რუსის ერის აპოლოგია. ამ აპოლოგიამ, დიდმპყრობელური და შოვინისტური ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით, ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში, როცა მთელ საბჭოთა კავშირში სწავრმობეს ფართე პროპაგანდა რუსის ერის და რუსული ერის საქებათ და სადიდებლათ. და ასეუთ პროპაგანდას ეწეოდენ სტალინ - ბერიას კურთხევით და მონაწილეობით. ვინც გაეცნობა ამ დროის კომუნისტურ ლიტერატურას და პრესას, ის ამაში საეგებით დარწმუნდება.

აი ზოგი რამ, თუ რას ქადაგებს ამის შესახებ კომუნისტური პრესა („პრადა“ და „ლიტერატურნაი ვაზეტა“) და რა პოლიტიკას აწარმოებს ნაციონალისტურად აღზრდილი ბოლშევიკური პარტია და, განსაკუთრებით, მისი შოვინისტური მეთაურობა: „საბჭოთა ქვეყანაში რუსული სიტყვა, რუსული ენა, ურთი-ერთ შორის დაშოკიდებულებისათვის უძლიერესი იარაღია. დიდი რუსის ხალხის ენა, ენა ლენინისა მრავალ ეროვნებთან საბჭოთა ოჯახის მშობლიური ენა... ეროვნულ სკოლებში რუსული ენის შესწავლა რომ გაუმჯობესებულ იქნას, საჭიროა ყურადღება მიექცეს თვით რუსულ ენის მასწავლებლების მომზადებას. ამაზე უნდა იზრუნონ ყველა ეროვნებათა განათლების სამინისტროებმა. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე რუსული ენის შესწავლას არარუს ეროვნებების ხანშიშესულ მოქალაქეთა მიერ, რომელთაც არ უსწავლიათ და განათლება არ მიუღიათ. არსებობს უდიდესი ლტოლვა საბჭოთა ადამიანებისა შეისწავლონ რუსული ენა, რომელიც არის ენა საბჭოთა კავშირში შემავალ ერითა შორის ყველაზე უფრო გამორჩენილ ერისა. ლატვიელები, მოლდავანები, სომხები, ლიტვანელები, ესტონელები და სხვები, ათასობით ხანშიშესული საბჭოთა ადამიანები, რომელთაც ამა თუ იმ მი-

ზეზების გამო რუსული ენა არ იცის, მოწყურებულნი არიან ის შეისწავლონ. რუსული ენა, რუსული სიტყვა არის ის იარაღი, რომლითაც შეიარაღებული უნდა იყოს საბჭოთა ყოველი ადამიანი. რომელ ერსაც ის არ ეკუთვნოდეს“-ო.

ამნაირად საბჭოთა კავშირში წინასწორილია ლიბნუნი: რუსული ენა უნდა გახდეს მშობლიურ ენათ, მას უნდა სწავლობდენ არა მხოლოდ ბავშვები სკოლებში, არამედ საჭიროა მოეწყოს სპეციალური კურსები, დაარსდეს ათასობით წრები მთელ რუსეთში, რათა ამ ენას ითვისებდენ ხანშიშესულნიც. ეროვნულ სკოლებში საკუთარი ენის გაკვეთილების რიცხვი მცირდება, რუსული ენისა კი მრავლდება. ერთი სიტყვით საბჭოთა კავშირში დიდი სისწრაფით, დაკვირვით წესით მიმდინარეობს რუსიფიკაცია, რომლის სისასტიკე გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა მეფის რეჟიმის დროს. რუსეთში აგორებულია დიდმპყრობელური შოვინიზმის ტალღა, რაც, ბუნებრივია, იწვევს დიდ უკმაყოფილებას და წინააღმდეგობას არარუს რესპუბლიკებში.

ამ უკმაყოფილების მოსაპობათ და წინააღმდეგობის შესაჩერებლათ მოსკოვი დაშინებითი ზომებს მიმართავს. მისი აზრით ერთი ასეთ ზომათ გამოდგება, თუ ბერიას სხვა ბრალდებათა შორის ზურგზე „ნაციონალისტობასაც“ მიაკრავს, მას სასტიკად დასჯის და ფიქრობს, რომ ამით ყოველგან ეროვნულ ნობრაობას დახეარს ჩასჯემს. მაგრამ ეს ზომ თავის მოტყულებათა. ეროვნულ ბრძოლამ კომპრომისი არ იცის და მისი დაშინებით და სასტიკი ზომებით შეჩერება შეუძლებელია; დღეს ეს ყველასათვის ანბანური ჭეშმარიტება უნდა იყოს. რამდენათ კრემლი დიდმპყრობელური და შოვინისტური პოლიტიკას აწარმოებს, იმდენათ ის არარუს ერებს უფრო გააღიზიანებს, დაიპირდაპირებს და საბჭოთა რუსეთს დაშლის და დაწაფილების გზაზე დააყენებს.

კრემლის დიდმპყრობელური შოვინისტური გამოლაშქრების წინააღმდეგ არარუს ერებს მოუხდებათ არა მხოლოდ თავდაცვითი, არამედ შეტევითი ბრძოლის წარმოებაც. ამ ორმავ ბრძოლაში ჩაგრული ერები შეთანხმებით და სოლიდარულად უნდა გამოდიოდენ. ამ ბრძოლაში ანგარიში შისაღებია თვით რუსის ერიც. დღეს ეს ერიც ისევე დამონებულია, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ერები. ბოლშევიკური რეჟიმის დასაგრევათ წარმოესულ ბრძოლებში



საქართველოს კომუნისტურ პარტიაში

IV

ჩვენს მიმოხილვაში შემოვიჭრა სრულიად მოულოდნელი ამბავი: **დაცემა ბერიასი.** ეს აქტი იმდენად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის მიხედვით, რომ ღირსია ცალკე განხილვის. ამიტომ ჩვენ მას დასუბრუნდებით ჩვენი მიმოხილვის დასრულების შემდეგ.

წინა წერილებში მკითხველის ყურადღება ჩვენ შევაჩერეთ, უმთავრესად, კომ. პარტიის იდეოლოგიური და ორგანიზაციულ ცენტრებაზე. ახლა გვინდა გავაცნოთ მას ზოგი რამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობაზე.

როგორც ვახვებთ, ისე სიტყვიერად, კომუნისტები ქვეყანას არწმუნებენ, რომ „აშენდა და აშენდება ახალი მძლავრი ქარხნები, ფაბრიკები, შახტები, მაღაროები, ელექტრო-სადგურები“; რომ „ჩვენი რესპუბლიკა სულ უფრო მზარდი ოდნობით აძლევს ქვეყანას ლითონს, ატომობილებს, ჩარხებს, მანქანებს, ხელსაწყოებს, განუწყვეტლივ ეუფლება სულ ახალ-ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოებას“; რომ „ძლიერი იცვალა სახე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ“; რომ „კოლმეურნე გლეხობა ადფროვანებით იბრძვის, ჩაითა შეასრულოს დავლება“; რომ „მშრომელებმა წელს პურეული აიღეს უაღრესად მოკლე ვადებში, ამნაირად შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე — ვადამდე დაამთავრეს პურის დამზადების გეგმა. დამამზადებელ პუნქტებს ჩაბარდა შარმანდელზე გაცილებით უფრო მეტი მარცვლეული“ და სხ. და სხ.

ამ მყვირალა ფრასებით ლაშობენ დაფაჩონ ის უნუგეშო სიონამდე იღვი, რო-

სხვა ერებთან ერთად რუსის ხალხმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა და მანაც გაიღოს სათანადო მსხვერპლი. რუსის ქალაქები და სოფლები კომუნისტებს ხელიდან თვით რუქებმა უნდა გამოაცალონ. ამავე დროს უნდა ვიზრუნოთ იმაზეც, რომ მონობიდან განთავისუფლებულ ეროვნულ რესპუბლიკებს აღდგენილ თავისუფლების შესანარჩუნებლად, მიზობლათ ჰყავდეთ არა მტრულად, არამედ მეგობრულად განწყობილი რუსის ერი.

კ. გვარჯალაძე.

მელიც დაეუფლა ერთადე ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას. და თუ როგორია ეს სინამდვილე — ამას ჩვენ ცტყობილობთ იმავე ყრილობის ანგარიშიდან.

„მთელ რიგ რაიონებში — მოახსენებს ყრილობას პირველი მდივანი მგელაძე — კერძოთ მთა-გორიან ადგილებში, საშუალო მარცენდელით ფარადენ აშკარად ცუდი მდგომარეობას. ამ რაიონების კოლ-მეურნენი ძალიან მცირე შემოსავალს იღებდა. იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომელთაც დაწესებული მინიმუმი შრომადლისა არ შეუსრულებიათ, მეტად ვადიდდა — 17% - 26,6%-მდე. მეორე რაიონში ეს რიცხვი უდრიდა — 30 - 35%, ხოლო 11% არც ერთი შრომადლე არ გამოუქმნა ვაგებით“. „საწარმოებში ფრიადი იყო გავრცელებული დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება და თვალის ახვევა. ვეგმა ბევრ ადგილას სრულდებოდა გადაჭარბებით, შავჩამ... ქაღალდზე. სახელმწიფოს მოტყუების და თვალის ახვევის პრსტიკამ შეაღწია სოფლის მეურნეობაშიაც. ზოგან ფიქტიურ ექტებმაც ადგენდენ თვალის ასახვევთ. გურჯაანის რაიონში დადგენილი მინიმუმი არ გამოუქმნა ვაგებითა 5.675 კაცს, ანუ 43,5%. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა კასპის, გარეუბნის, თერჯოლის, ჭიათურის და მთელ ჩიხ სხვა რაიონებში“. „ბევრ რაიონებში კოლმეურნეთ წლობით არ უსწორებდენ ანგარიშს გამოშვებულ შრომადლისათვის. მაგ. ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეებს 1952 წლის პირველი იანვარს, მიღებული არ ჰქონდათ 460 ცენ. მარცვლეული და ფულად 4.035. 864 მანეთი, რაც მათ 1951 წელს და წინა წლებში ერგებოდათ. აბაშის რაიონში — 513 ცენ. მარცვლეული და 1.063.054 მან. თელავის რაიონში — 1.059 ცენ. მარცვლეული და 1.079.371 მან. ლავიანის რაიონში — 541 ცენ. მარცვლეული და 1.244.059 მანეთი“. „ხშირად იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, მიწების, პირუტყვების და სხვა დოვლათის დატაცება, რის დასაბრუნებლად მიღებული იქნა ზომები და პირველი სექტემბრისათვის კოლმეურნეებს დაუბრუნდათ: მიწა — 7.779 ჰექტარი, მარცვლეულის პროდუქტები — 36.587 ცენტერი, მეცხოველობის პროდუქტები — 1.661 ცენტერი. სხვა პროდუქტები — 3.392 ცენ. მსხვილფეხა რქისანი პირუტყვი — 6.926



სული, ცხვარი და თხა — 27.977 სული, ცხენი — 478, ღორი — 1.926, ფრინველი — 61.826 ფრთა და 92.915.817 მანეთი ფულადი. „საჩუქრიად სარა დამაკმაყოფილებლად სწარმოებს საბინაო მშენებლობა; ის შესრულებულია მხოლოდ 42,9%. მრეწველობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგში, როგორიცაა ქიათურა — საცხოვრებელი სახლები და კულტურული დაწესებულებები ძალიან ცუდად შენდება, მატაროები და ქალაქი კეთილ-მოწყობილი არაა. თბილისში შენდება მეცნიერებათა აკადემიის კონპლექსი, მაგრამ 1949 წ. დაწყებული მშენებლობის ტურესტი ყოველ-წლიურად მხოლოდ იდაახლოვებით ერთი მილიონი მანეთის ათვისებას ახერხებს. თუ მთ შობა ასეთი ტემპით იწარმოებს, ამ შენობის აგებას ალბათ რასმდენიმე ათეული წელი დასჭირდება. სასკოლო შენობების საჭირო რაოდენობის უქონლობის გამო, 254.000-მდე ბავშვი ჯერ კიდევ მეცადინეობს მეორე, ცვლაში, ხოლო 5.505 — მესამე ცვლაში. განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ნაგებობათა მეტი წილი აშენებულია ცუდი ხარისხით. უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში ძალიან ცოტა გაკეთებული ქალაქ ქუთაისისთვის, თითქოს მას საკმაო ყურადღება უნდა ექცეოდეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქუთაისის დრამატული თეატრის შენობა შენდება უკვე 15 წელიწადია და დღემდე მაინც არ აშენებულა. შენობა... საძირკველს ვერ ასცილდა“. „ცუდი ხარისხით წარმოება საგზაო-სამშენობით, ჯეროვანი უყრადღება არ ექცეოდა გზების მოვლას და იმის უზრუნველყოფას, რომ ამ გზებით შესაძლებელი ყოფილიყო ნორმალური მიმოსვლა“. „საქართველოს ძირითადი დაჭაბუბული მასივის კოლხიდის დაბლობები — 220 ათასი ჰექტარი ამის ამოწრობა დავიწყეთ, მხარა დღემდის არაა დასრულებული. თუ ასეთი ტემპით იწარმოება მუშაობა, შეიძლება 1957 წ. დამთავრდეს ამოწრობა“. „ძალიან ცუდათა დაყენებული ფაქტობა: ქუთაისში, გორში, რუსთავეში, ტყიბულაში, ტყვარჩელში, ქიათურაში და ჩვენი რესპუბლიკის დედა-ქალაქ თბილისისის ცენტრში აქვს გაფლანგვა - დატაცება, სბეკულიაცია, მექროამოება, მომხრებელთა ზომა - წონაში და ანგარიშში მოტყუება“. „ცოდნის დარგში სრულებით არ არის სახელმძღვანელოები და დამზარე წიგნები, განსაკუთრებით ქართულ ენაზე. მაგ. პოლიტიკურ ინსტიტუტში 340 დისციპლინიდან, რომელსაც იქ ასწავლიან, 200-მდე

დისციპლინის სწავლება უსახელომძღვანელოდ სწარმოებს“. „უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ დაკარგებული გვაქვს ჩავაბაროთ სახელმწიფო 1952 წ. ციტრუსოვანთა 300 მილი. ცალი ნაყოფი, 1953 წ.—400 მილი., 1954 წ.—500 მილი. და 1955 წ.—700 მილიონი, აქედან 60 მილიონი ლიმონი და 25 მილიონი ფორთოხალი, ხოლო 1957 წ. სულ მცირე, ერთი მილიარდი, აქედან ასი მილიონი ლიმონი და 40 მილიონი ფორთოხალი“ და სხ. და სხ. („კომ.“ №-ბი: 220, 221, 222).

მაგრამ შეიძლება აჭარბებს მეგლადე? მოუსმინოთ დედეგატეტესაც.

ბაღვაძე (ქუთაისის ოლქის მდივანი), „... მიუხედავად არსებული წარმატებისა, ოლქის მრეწველობაში ჯერ კიდევ ბევრი ჩამორჩენილი საწარმო. საკმარისია ითქვას, რომ 77 ქარხანა და ფაბრიკა ვერ ასრულებს სახელმწიფო გეგმებს“. „ქუთაისის საოლქო მესურნეობის ძირითადი და გადასვლილი ამოცანაა ახალი წყალადენის და კანალიზაციის მშენებლობა. საჭიროა აგრეთვე აშენებულ იქნას ორი ხიდი, სასტუმრო და აბანო-სამრეცხველოს კომბინატი“ და სხ. და სხ. („კომ.“ № 223).

გეთია (აფხაზეთის ოლქის მდივანი) „... ბევრი რამ დამზადდა, მაგრამ ზოგიერთი საკითხი, კერძოდ ქალაქ სოხუმის კანალიზაციის, კურორტ გუდაუთის სასმელ წყლით უზრუნველყოფის საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გუდაუთის, როგორც კურორტის კეთილმოწყობის ღონისძიებანი სრულებითაც არ შედეგდება გაზრდილ მოთხოვნებს“ და სხ. და სხ. („კომ.“ № 223).

რომელაშვილი (გორის საქალაქო კომიტეტის მდივანი) „... ერთოდერთი დიდი მშენებლობა, ბაბუელის კომბინატი, დაიწყო და ახლა შეჩერებულია; გორის სტადიონის მშენებლობა, რაც 1946 წლიდან წარმოებს, დღემდე დამთავრებული არ არის; ასევე იქმის ოცბინიანი სახლის მშენებლობაზე, წყალ - სადენის მშენებლობაზე“ და სხ. („კომ.“ № 224).

3. ბაქრაძე (ტყიბულის რაიკომის მდივანი) „... მშენებელი ორგანიზაციები დადებული ვადებში არ აბარებენ საწარმო ობიექტებს, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ შესრულებულ საღუშოთა ხარისხს, ხშირია შემთხვევა საცხოვრებელი ბინები და ნაგებობანი მეორე - მესამე წელიწადის კაპიტალურ რემონტს საჭიროებენ. ქალაქის ცენტრალურ უბანში ორ-წელიწადზე მეტია შენდება სკოლა, რომელიც გასულ წელს

უნდა დამთავრებულიყო, წელს ძლივს გადაეცა საექსპლოატაციოთ, მარა ისე რომ ეზოს კეთილმოწყობის პროექტი დღესაც არ არის მიღებული. არის ისეთი კურორტული შემთხვევებიც, როცა ასაშენებელი კედლების და სასურავის პროექტებს იძლევიან, საძირკველის პროექტი კი არსად ჩანს. ეს აჭიანურებს მშენებლობის დაწყებას. ტყიბულში ამ უამად რამდენიმე ათეული ათასი მცხოვრებია, ამავე დროს კი ქალაქს არსებითარი ტრანსპორტი არ გააჩნია“ და სხ. და სხ. („კომ.“ № 224).

პირი უნდა ითქვას, რომ როგორც იუსტიციის სამინისტრო, ისე სასამართლო ორგანოები ვერც კიდევ არადასაკმაყოფილებლად მოეზობენ. საქმე, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს და დამთავრდეს ერთ დღეში — თვეობით ჭიანჭურდება. სასამართლოს ორგანოების გაუმჯობესება დიდად არის დაშოკებული იურიდიული კადრების მომზადებაზე, ხოლო ამ მხრივ რესპუბლიკაში არა ნორმალური მდგომარეობა გვაქვს. ერთადერთი სასწავლებელი, რომელიც იურიდიულ კადრებს ამზადებს, არის თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც იურიდიულ ფაკულტეტზე მისაღები კონტიგენტი წელს 25 კაცით განისაზღვრა, ნაცვლად 50-ისა გასულ წელში და 75 კაცისა წინა წელში“ და სხ. და სხ. („კომ.“ № 226).

8. კეცხოველი (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე) „... ჩვენი საწარმო ვერ ასრულებს პროდუქციას ასორტიმენტის და ხარისხის მხრივ, საამშენებლო მოედანზე ცალკეული ობიექტების მშენებლობა ჭიანჭურდება. მრავალ წელს ჭიანჭურდება პატარა ობიექტების მშენებლობაც კი. მაგ. პატარა რაიონული საავადმყოფო დუშეთში უკვე რვა წელიწადია შენდება, ხოლო დიანში — 7 წელიწადს, სკოლა ნაგომარში — 8 წელიწადს, სტადიონი ვორში — 7 წელიწადს, ავტობაზა ქალაქ თფილისში — 13 წელიწადს, ნელა მიმდინარეობს ჰიდრო-ელექტრონის სადგურების მშენებლობაც“ და სხ. და სხ. („კომ.“ №225).

ჩხუბიანიშვილი (უმადლეს საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე) „... გასულ წელს ათვისებულში იყო 38,6 ათასი ჰექტარი მიწა, ნაცვლად 45 ათასი ჰექტარისა. 56 რაიონიდან ახალი მიწების ათვისების გეგმა ვერ შეასრულა — 27 რაიონშია. წელს 60.000 ჰექტარის ნაცვლად ათვისებულა მხოლოდ 25.000 ჰექტარი მიწა. 1.316 კოლმეურნეობიდან მოსავლიანობის გეგმა შეასრულა მხოლოდ — 373 კოლმეურნეობამ“ და სხ. და სხ. („კომ.“ № 227).

ჯვებენავა (გეგეჭკორის რაიონის მდივანი) „... ჩვენს რაიონში გამოვლინებული იქნა საკოლმეურნეო მიწების გატაცება 1.462 შემთხვევა; დატაცებული იყო 350 ჰექტარი მიწა. მითვისებული და განიავებული იყო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი—136 სული, ცხენი—15, თხა და ცხვარი — 120, ღორი—43, ფრინველი — 858 ფრთა. გამოვლინებული იქნა აგრეთვე საკოლმეურნეო თანხების გაფლანგვა — 931.000 მანეთის რაოდენობით. წინააღმდეგ შემდგომი ორგანოებისათვის გაგზავნილი ცნობებისა, ჩვენს რაიონში პური ფაქტიურად დათესილი იყო 20% ნაკლები, სიმინდი—15%, ხოლო სილისი — 75% ნაკლები. 20 კოლმეურნეობაში ჩაის კულტურა დათესილი აღმოჩნდა 282 ჰექტარის ნაცვლად — 232 ჰექტარი. რაიონში საესებით გამოუყენებელია მდინარეები: ცხენისწყალი, ტენური, ნაჩანური და აბაშა, რომელთა საშვალეობით ათასობით ჰექტარის მორწყვა შეიძლება. რაიონულ ცენტრს არ აქვს საავადმყოფოს შესაფერი შენობა. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მდინარე ცხენისწყალზე ხიდის აგება“ და სხ. და სხ. („კომ.“ № 225).

3. ბაქრაძე (მინისტრთა საბჭოს თავრის მოადგილე) „... პირველ რიგში მე უნდა ვილაპარაკო ჩაის მეურნეობაზე. ამ საქმეში დიდი ჩამორჩენაა. ჩაის კულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მეურნეობაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს ჩაის პროდუქცია ყველა თავის ხარჯების დაფარვის შემდეგ, მათ შორის იმ ხარჯების, რაც საჭიროა ჩაის მეურნეობის შემდგომი გაფართოებისათვის, საკავშირო ბიუჯეტს ყოველწლიურად აძლევს ერთ მილიარდ მანეთზე მეტს. (ხაზი ჩვენია. გ.უ.) თუ ამას მიუმატებთ, რომ საქართველოს ჩაის ძირითადად აკმაყოფილებს ამ პროდუქციაზე საბჭოთა კავშირის ხალხების მოთხოვნილებას, გასაგები იქნება ის უდიდესი პასუხისმგებლობა რაც ჩვენ გვაკისრია ჩაის გეგმის შესრულების საქმეში. ამ უამად ჩვენ გვაქვს 56 მომქმედი ჩაის ფაბრიკა, ხოლო მათი შენდება. ბევრ ფაბრიკაში ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვისა და საწარმოო სანიტარიის მხრივ დაუშვებელი მდგომარეობა არის. საქმე ისე უხეიროდ არის დაყენებული, რომ ჩაის დეუს მოკრავის შემდეგ ფეხით თელავენ, რაც რა თქმა უნდა, გავლენას

მამალაძე (იუსტიციის კომისარი) „... პირდა-



ავვისტოს აჯანყების მსხვერპლი

დავხაროთ წუთით
 სისხლში ნაბანი,
 შინდისა ფერი,
 ქართლის დროშები.
 ცრემლები არა!
 ცრემლები არა!
 გმირთ არა იტირებს
 ერის თვალები.
 რისხვის დღემილი
 უფრო უხდება
 თავისუფლების
 უშიშარ მებრძოლთ.
 საქართველოსთვის
 თავგანწირულებს
 მარადისობის
 გვირგვინი ეზლოთ.
 დრუბლიან დღეთა
 კოსმიურ სვლაში
 გზას გაგვინათებს
 მათი სახელი
 და არ გაჰქრება
 ხსოვნა ნათელი
 სანამ იცოცხლებს
 ერთი ქართველი.

დავხაროთ წუთით,
 რომ, საბრძოლველად,

ისევე ხელახლად,
 გავმალეთ ლაღად
 ჩვენც ზოვისადრთ
 მამულის ვაღი
 აჩრდილო წინაშე
 წარცხდგეთ ამყად.
 ლომი ლომთა ზრდის
 და ფრინველთ მეფე
 მისებრ ფრთების
 მთების არწივებს.
 ქართველი დედა
 ზრდიდა და გაზრდის
 გამულის მხსნელთა
 მხნე ლეგიონებს.
 დე, ვიყოთ ლეკვნი —
 ლომების სწორნი
 ზეფვიცით ფიცი
 გაუტხელი.
 თუ მშვიდი კალმის
 წვერი დაჩლუნგდეს
 მახვილთ ვწეროთ
 დასაწერელი..

ქორონიკონი.

1949 წლის
 აგვისტო.
 პარიზი.

ახდენს ხარისხზე, ჩვენი მევენახეობა და განსაკუთრებით მინილეობა უკან და უკან მიდის. ათასობით ჰექტარი ვენახი და ხეხილის ბაღი ყოველწლიურად დაუმუშავებელი რჩება, მოსავალი ცუდი მოდის. მევენახეობას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს მეღვინეობა ყველა ხარჯების დაფარვით, სახელმწიფოს წელიწადში 300-400 მილიონ მხანეთს აძლევს. მეცხოველეობის შესახებ გულის ტკივილით, უნდა შევნიშნო, რომ როგორც ირკვევა თურმე მსხვილფეხა რქიანი საქონლის საერთო რაოდენობა შემცირებულია 1940 წელთან შედარებით. ფარდა ამისა ვითვლით პირუტყვს ბევრი სულს, მაგრამ ხორცი და რძე ნაკლებად გვაქვს“ და სხვა და სხვა. („კომ.“ № 227).

ასე მოკლედ მოთხრობილი ამბებიც კი ნათელყოფენ თუ რა მახინჯია ის პოლიციური კომუნისმი, რომლის დამყარება ისეთი დიდის ამბით აუწყა მსოფლიოს კომუნისტურმა პარტიამ. ასე-

თი სიღარიბე და საერთო სიღატაკე თვითმპყრობელობის დროსაც კი არ ყოფილა არც ქალაქად და არც სოფლად. და ეს არც გასაკვირია. ზატონ - ყმური მეურნეობა — იქნება ეს ფელაღალური თუ ბოლშევიკური ყოველთვის და ყოველგან ერთსა და იმავე შედეგს იძლევა. ეს შედეგია ქვეყნის გაღატაკება და მისი საერთო დაკნინება.

უნგრელი ცნობილი კომუნისტი პროფესორი ვარკა სწერდა: უნგრეთის პირველი საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემთავრები მიზეზი იყო ის, რომ მოჯამადირები უკეთ იკვებებოდნენ, ვინემ წინეთო. და კომ. ხელისუფლებაც ყველაფერს შეება, რომ ხალხი უკეთ არ იკვებებოდეს. მოსაპობა ამ ბატონ - ყმური მეურნეობის, დამყარება სამეურნეო და პოლიტიკური თავისუფლების — აი საკითხები, რომლებიც უნდა გადასჭრას ახლო მომავალმა...

გრ. ურატაძე.



მ ო ს კ ო ვ ი დ ა ა ხ ლ ო ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი

ვეტიკრობ არ უნდა იყოს თქვენთვის ინტერესსა მოკლებული ოსმალეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეების შეფასება და გამომხმსებლობა მალენკოვის უკანასკნელი სიტყვაზე, რომელიც მან წარმოსთქვა უმსაღესო საბჭოს 5 აგვისტოს სხდომაზე. უნდა ითქვას, რომ ეს გამოხმსებლობა იყო ერთ სულოვანი და განსაცვიფრებლად იდენტური.

ანგორაში ხაზს უსვამენ იმ ვარემოებას, რომ მალენკოვის სიტყვა არაფერი ახალს არ იძლევა, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. ვინაიდან მალენკოვის სიტყვით, როგორც წინააღმდეგობა, ისინი ინდუსტრიის რჩება საბჭოთა მთავრობის მთავარი საზრუნავი საგნად. მაშასადამე შეუძლებელია დაგვივაროთ, რომ საბჭოების პოლიტიკა მიმართობოდა შეარაღების რითმის შენელებისაკენ, საერთო დაშლის მიზნებისა და ზავისაკენ.

ბუნებრივია, რომ ოსმალეთის პოლიტიკური წრეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მალენკოვის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც დასაბრკადა თურქეთთან დანაკლებულებზე. ეს ადგილი — ამბობენ სატახტო ქალქის წრეებში — აშკარაა ეხება მოსკოვის მისწრაფებას **მიაღწიოს ოსმალეთთან პირის-პირ ლაპარაკს**. მალენკოვის სიტყვით, მოსკოვი მზად არის დაუყონებლივ შევიდეს მოლაპარაკებაში ანგორასთან, რათა მოგვარებული იქნეს ყველა მნიშვნელოვანი საკითხები. სინამდვილეში კი — ამბობენ ანგორაში — არ არსებობს „მნიშვნელოვანი საკითხები“ ორ სახელმწიფოთა შორის. ერთი, რომ ოსმალეთს არ აქვს არავითარი პრეტენზიები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და მოსკოვმაც, თავის მხრივ, იცნო, თავის ცნობილ ნოტაში, რომ არც მას აქვს რაიმე ტერიტორიალური ზრახვები თურქეთის მიმართ. მეორეს მხრივ თურქეთი კმაყოფილია მონტროის ხელშეკრულებით. ხოლო, თუ მოსკოვს სურს ამ ხელშეკრულების გადაზინჯვა, მაშინ მან უნდა იცოდეს, რომ ეს საკითხი შეეხება არა მარტო მოსკოვს და ანგორას, არამედ იგი აინტერესებს თანასწორად ყველა ხელის მომწერით. მაშასადამე, აქედან აშკარაა, რომ არ არსებობს „მნიშვნელოვანი საკითხი“, რომლის გადაწყვეტა შეუძლებელი იყვის მარტო თურქეთსა და საბჭოთა კავშირის შორის. დიან, არსებობს მთელი რიგი სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხები

ბისა, რომლებიც დიდი ხანია მოელოან გადაჭრას, მაგრამ ეს საკითხები ეხებიან არა მარტო ოსმალეთს და საბჭოთა კავშირს, არამედ მთელ დასავლეთს, რომლის გასულყოფელი წევრია ოსმალეთიც.

ერთი სიტყვით, ყველაფერი დამოკიდებულია არა ოსმალეთზე, როგორც ეს უნდა დასამტკიცოს მალენკოვმა — არამედ საბჭოთა კავშირზე. თუ მოსკოვს მართლა სურს დაახლოება ორ ქვეყანას შორის, მაშინ ხელი უნდა აიღოს იმან ექსპანსიონურ პოლიტიკაზე და დასამტკიცოს თავისი მისწრაფება რეალური მშვიდობიანობისა და თანასრულებლობისადმი, არა მარტო ოსმალეთის მიმართ, არამედ მსოფლიოს ყველა ხალხებისადმი. მხოლოდ და მხოლოდ ამის შედეგად შეიძლება ნამდვილი დაახლოება ოსმალეთს — საბჭოთა კავშირის შორის.

არა ნაკლებ საინტერესოა სატახტო ქალქის პოლიტიკური წრეების მიერ მალენკოვის სიტყვის საერთო ხაზის შეფასება. მალენკოვის სიტყვაში აქ ნახულობენ ბოლშევიკებისათვის ჩვეული კუპლებს — ომის გამაღებლებზე, მოსკოვის პაციფიზმზე, ამერიკის კაპიტალიზმის კაცი-კამობაზე და სხვა, მაგრამ არც ერთი საიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ სურს მოსკოვს მოავაროს საერთაშორისო საკითხები ურთიერთ კომპრომისისა და საერთო კმაყოფილების ნიადაგზე. ამიტომ მალენკოვის სიტყვას აქ სთვლიან პერმანენტულ ცივი ომის გამოცხადებათ. ამის მიხედვით მოსკოვი შეეცდება მოკავშირეთა შორის უფლის ჩამოვდებას, უთანხმოების წამახვილებას, რათა ამით მიაღწიოს დასავლეთის ბლოკის დაშლას და იმის სდვილად განადგურებას.

მალენკოვის სიტყვაში ახალი არაფერის არც საშინაო პოლიტიკაზე. იგი ჩვეულებრივად ცდილობს დააწყნაროს, ომის საფრთხით დაშინებული საბჭოთა მოქალაქე კომუნისტების სიძლიერით. მაგრამ მეორეს მხრივ მალენკოვის სიტყვა იყო აშკარა აღიარება ქვეყნის ეკონომიური დაცემის და მასების საშინელი გადატაცების. ამ სიტუაციის ერთი მათგანი მიზეზი იყო შიში ინდუსტრიის, რომელსაც, ათეული წლების განმავლობაში ეწირებოდა ხალხის ფიზიკური არსებობა და მატერიალური ინტერესები. ეს ინდუსტრიული კვლავ რჩება ხელისუფლების ყურადღების ცენტრში. მიუხედავად ამისა, მალენ-

კოვი პირდება დამშუულ მასებს სტანდარტის აწევას 1955 წლისათვის. მაგრამ რა გზით, არაფერს ამბობს. ამიტომ ამ დაპირების არავის ჯერავს.

ანგორის პოლიტიკური წრეების განწყობილებას იმვითაი ეერთოულენებით ეხმაურება ოსმალეთის პრესა, განუჩრეველად მიმართულენ ბისა. აქ მოვიყვანთი სამი მთავარი მიმდინარეობის აზრს:

გაზ. „Vatan“-ის („სამშობლო“—უპარტიო). მოწინავე სწერს: „მალენკოვის სიტყვა ყოვლის უპირველესად მიხნადი იხანავს დასათესოს უთანხმოება მოკავშირეთა შორის; წაკიდოს ამერიკას მისი ევროპიული მოკავშირენი“... „ხოლო, თუ მოსკოვი ფიქრობს შესცვალოს მონტროის ხელშეკრულება ისე, რომი შავი ზღვა გადაიქცეს საბჭოთა კავშირის შინაგან ზღვად — მისი ლოდინი იქნება მეტად ფუჭი და უაზრო“, და გახეთი დასკვნის: „ოსმალეთი არი არის ჩვეულო ცარიელი სიტყვებითი კვებას. პირიქით, ჩვენ ვისურვებდით ევროპის სახელმწიფონი, სახელმწიფონი, დაყრდნობილი მალენკოვის სიტყვაზე, წინააღმდეგობდენ ყოველგვარი კონცესიების პოლიტიკას მოსკოვის მიმართ და არ იქონიებდენ ზეგავლენას ამერიკაზე, რათა იგი დაადგეს დათმობის პოლიტიკას“.

გაზ. „Leni Istanbul“-ის („ახალი სტამბოლი“) — უპარტიო, მოწინავე სწერს: „ჩვენ არ დავადებთ ჩვენს გზას. ჩვენ არ დავებრუნდებით უკან. და ჩვენ არ ვართ იმთვანი, რომლთაც ჩვეულებათ აქვთ ჩარჩობა უკვე გაცემულ სიტყვაზე“.

უპარტიო და დამოუკიდებელი პრესას მანს აძლევს გაზ. „Dünya“ („ქვეყანა“) სახალხო რესპუბლიკ. პარტიის ორგანო (ოპოზიცია); იგი სწერს: „საბჭოთა კავშირის მიერ ჰიდრობომბის ქონა ვერ შეაშინებს თავისუფალ ქვეყნებს. ხოლო, რაც შეეხება კერძოდ ოსმალეთს — ამ ფაქტს არ შეუძლია ოდნავი გავლენა იქონიოს, როგორც ჩვენს საერთო პოლიტიკაზე, ისე ყოველდღიურ საკითხებზე. არ არსებობს ქვეყნად არც ერთი სახელმწიფო, რომელსაც არი სურდეს მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხებთან. მაგრამ, გვან თვით მოსკოვმა ოდესმე უარი სთქვა სხვა ქვეყნებისადმი მტრობაზე? — არი სად არის ძირითადი პრობლემა“ — დასკვნის გახეთი.

დაბოლოს, მართველი პარტიის ოფიციალი „ზაფერი“ („გამარჯვება“) გადაჭრით უარსყოფს მოსკოვთან პირის-პირ ლაპარაკს და და-

ასკვნის: „მალენკოვის სიტყვიდან გამოდის, რომ ოსმალეთმა განხედ უნდა გადასდოს მონტროის ხელშეკრულება, რომელზედაც ხელი უწერია საბჭოთა კავშირსაც, და ამ საგანზედ იგი უნდა შევიდეს მოლაპარაკებაში პირდაპირ მოსკოვთან. ბავშვისათვისაც ნათელია, რომ ეს შეუძლებელია“.

ერთი სიტყვით, ოსმალეთის პასუხისმგებელი წრეები და მისი საზოგადოებრივი აზრი ერთსულოვანია მალენკოვის სიტყვის შეფასებაში. რაც მთავარია, ამ წრეებმა დიდი ხანია, ჩინებულად აუღეს ალლი კრემლის განზრახვებს და ნათლად აქვთ წარმოდგენილი მოსკოვის ნამდვილი თამაში. ამიტომ შეუძლებელია, კრემლის სიტყვიერი დაპირებებით, ამ შეფასებიდან გამომდინარე პოლიტიკის შეცვლა. ოსმალეთი გადაჭრით და დიდი ხნით უკავშირდება ამერიკის პოლიტიკას, პოლიტიკას სიმტკიცის და რეალური გარანტიების. ამერიკის შერყევა ამ სფეროში, შესაძლებელია კატასტროფიული აღმოჩნდეს არა მარტო ახლო აღმოსავლეთისათვის, არამედ მთელი თავისუფალი მსოფლიოსათვის, რასაც ამერიკა ვერ დაუშვებს. ამიტომაც აქ განწყობილება უფრო ოპტიმისტურია.

**

დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ამბები ხდება დღეს ირანში. ამ ამბების შედეგი შეიძლება მეტად მწვავე და საზიფათო გამოდგეს, არა მარტო მკორე აზიისათვის, არამედ მსოფლიო მშვიდობიანობისათვის. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, თუ იგი იპყრობს ოსმალეთის პოლიტიკურ წრეების განსაკუთრებულ ყურადღებას. ირანის საქმეებში მოსკოვის ხელის ტრიალი არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს. კრემლის მიზანია „შინაური ძალებით“ ირანის მოსკოვის სატელიტად გადაქცევა და ამ გზით ოსმალეთის, დასავლეთის ამ port - poste-ის, ალყის შემორტყმა. უეჭველია მოსკოვი იწყებს ახალ ინტრიგებს, რომელიც პირდაპირ მიმართულია ოსმალეთის წინააღმდეგ. აქ არი სთელითანი გამორიცხულად, რომ მოსკოვის სიტყვიერი ავანსები ოსმალეთის მიმართ, გამოწვეული იყოს ან გორის სიფხოს მისაყრჩებლად. მაგრამ მოსკოვი ერთხელ კიდევ მოსტყუვდა ანგარიშში. ანგორის გაცურება ისე ადვილი არ არის, როგორც ზოგიერთი დასავლეთის პარტიორის. განსაკუთრებით საყურადღე-



ბოდ ითვლება „შერეული კომისიის“ დასრულება ირანსა და საბჭოთა კავშირის შორის „გადაუჭრელი საკითხების მოსაგვარებლად“. თუ მოსკოვს დაუჯერებთ, მას სურს მოსკოვისა და თურქის შორის „ნორმალური ურთიერთობის დამყარება“. მაგრამ ცაჩერდება კი მოსკოვი მხოლოდ ურთიერთობის — ნორმალისაციანზე? — აი მთავარი საკითხი, რომელიც იწვევს დიდ ინტერესს ანკორაში. მათი აზრით, ამ საკითხის მნიშვნელობა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ირანი არის ნავთის დიდი პროდუქტორი, არამედ იმაში, რომ იგი წარმოადგენს მსოფლიოს ისეთ ნერვალკურ პუნქტს, რომელსაც შეუძლია ნათელი შოფინოს მოსკოვის ნამდვილ პოლიტიკას. იგი გამოაჩვენებს საბჭოთა კავშირის მართლად სურს თუ არა დასტოვოს, დროებით მაინც, თავისი ექსპანსიონისტური ზრახვები.

ამიტომ, ვიმეორებ, გასაგებია, რომ ირანში დაწყებული მოსკოვის ინტრიგების განვითარებას აქ დიდი სიფრთხილით ადევნებენ თვალყურს და მას სთვლიან მსოფლიო პულისის საუკეთესო მაჩვენებლად.

ეს შენაშენა უკვე დაწერილი იყო, როდესაც ირანში ამბები უფრო მეტი სისწრაფით განვითარდა, ვინემ ეს წარმოადგენილი იყო. ირანის ხალხის უმრავლესობამ საბჭოების ინტრიგებს სასიკვდილო ლახვარი ჩასცა. მოსადეკი და მისი ამკოლები დატუსაღებულნი აღმოჩნდნენ. სამხრეთით მოსკოვის ექსპანსიის გზა გადაეტრა; ირანის ახალ კორეით გადაქცევის გეგმა ჩაიფუშა. მაგრამ ყველაფერი ჯერ კიდევ ნათელი არ არის ქვეყნის, ამ, მეტად სათუთო პუნქტში. გენერალ შახიდის მთავრობა ჯერ კიდევ არ არის მდგომარეობის სრული ბატონ - პატრონი. მარათალია ხალხის უმრავლესობა მის მხარეზეა, მაგრამ ირანში სტაბილიზაციის საკითხი, როგორც ყოველთვის, მარტო ირანის მთავრობაზე როდის დამოკიდებული. მართალია ქვეყნის ანარქიული ძალების ბატონობას ბოლო მოეღო, მაგრამ მისი გამომწვევი და მასაჩივრებელი ძალა — მოსკოვი — კვლავინდებურად სდგას ირანის ჩრდილოეთ საზღვრებზე და გადაცეცებით ადევნებს თვალყურს ქვეყანაში მიმდინარე ამბებს. რამდენხანს დარჩება მოსკოვი მასურების რაოლში და შეუჩივდება კი ამ მწვავე დამარცხებას? აი ძირითადი პრობლემა.

მიუხედავად მოსადეკის და მოსკოვის აგენტთა დამარცხებისა — ირანი სდგას სამოქალაქო ომის სამიზროების წინაშე. მოსკოვი წინასწარ ზომებს იღებს კავკასიის და თურქისტანის საზღვრებზე ირანის მიმართულებით.

ირანი გადაიქცევა, თუ არა სამოქალაქო ომის ასპარეზად, დამოკიდებულია მოსკოვის პოლიტიკაზე. მეორეს მხრივ ამით გაიარევეს ის კითხვა, რომელიც იწვევს აზრთა სხვადასხვაობას ამერიკასა და იმისზოგიერთ ევროპელ მოკავშირეთა შორის. ეს საკითხია: მოსკოვს სერიოზულად სურს თუ არა საერთაშორისო დამოშინება და გულწრფელი შორიგება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის? თუ ირანში დაინთო სამოქალაქო ომი — რააც აქ გამოიჩივხულად არ სთვლინ — მაშინ ეს იქნება ზედმეტი აჩქარებული მოსკოვის ორბირობის და თაღლითობის და აშკარად გახდის კრემლის ნამდვილ პოლიტიკას. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ირანის ამბები სდგას მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. ასეთ პირობებში გახედვას მოსკოვი ირანის დღევანდელ ამბებში ჩარევას და იქ თავისი აგენტების მხარის დაჭერას? — ზოგიერთი ცნობებით და აქაური ზოგიერთი წრეების აზრით, — ეს შესაძლებელია. ამ თეზის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გაქრემობაც, რომ თვით ირანში ერთი მძლავრი პროვინცია — **შირაზი** ითვლება მოსადეკის პოლიტიკის გადაქრით მომხრეთ. არ არის გამოიჩივლი, რომ მოსკოვი შეეცდება ამ პროვინციის ამნდრებას შახის მომხრეების წინააღმდეგ. ეს მით უფრო ადვილად შეუძლია მას, რომ ირანის ბედს და სინამდვილეს დღემდის განაგებს პროვინციალიზმი და ამ პროვინციათა შორის არსებული ანტოგონიზმი.

ამრიგად, შეუძლებელია მოსადეკის დატყვევებით ჩაითვალოს საქმე გათავებულად. თუ მოსკოვი შოინდომებს, მას ადვილად შეუძლია ირანი გახვიოს სამოქალაქო ომის ცეცხლში და დასავლეთს შეუქმნას ახალი სატყვიარი.

მოსკოვი დასტოვებს თავის ძველ და ნაცად გზას? მიუხედავად ირანს თავის ნებაზე? აი მომენტის მთავარი პრობლემა მცირე აზიაში. ამბების მომავალი განვითარება დაგვანახებს საი მიდის მოსკოვი.

მოგზაური.



აღმასრულებელ კომიტეტის საჰმანოზიდან

(ფაქტები და დოკუმენტები *)

თავის დროზე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საკოორდინაციო ცენტრის ორგანიზაციის დამთავრებით, დამთავრდა ამერიკულ კომიტეტთან თანამშრომლობის ერთი ეტაპი. ამხვე დროს, ცენტრს აღმოაჩნდა ერთი დიდი სისუსტე, რაც ხელს უშლიდა მას ნაყოფიერ ანტიბოლშევიკურ საქმიანობის დაწყება-მოგვარებაში. ამკარა ვახდა, ზოგი რუსული ორგანიზაციის ტენდენცია დაპყრობილ ერთა შორის სატელიტების გაჩენის, უმრავლესობის მოპოვების და თავის გაველენის განმტკიცებისა. ამ ნიადაგზე შექმნილი უთანხმოება და შეხლა - შეშხლა, ცხადია, ხელს ვერ შეუწყობდა საერთო ბრძოლის სასურველ ნიადაგზე დაყენებას.

ქართული სექცია, იმ თავითვე შეეცადა ერთგული სექტორის გაძლიერებას ცენტრში; მან საკმაოდ არ იცნო სომეხთა წარმომადგენლობა, და დღის წესრიგში დააყენა ცენტრის გაძლიერების საკითხი, მასში დაჩაგრულ ერთა კვალიფიციური წარმომადგენლობის შეყვანით.

ცენტრის კონსტრუქციის თანახმად ქართული სექციის მუდმივ წარმომადგენლის ბ-ნ. ცინცაძის პირდაპირ ფუნქციაში შედიოდა ცენტრის გარეშე საქმიანობის მოვლა და ერებთან დამოკიდებულების მოგვარება. ამხვე დროს ეროვნული საბჭოს პირველი ყრილობის დადგენილების თანახმად, აღმასრულებელი კომიტეტი თავის მოვალეობათ სთვლიდა, საბჭოთა კავშირის დაჩაგრულ ერთა ნამდვილ წარმომადგენელთა შეთანხმებას და ცენტრის მუშაობის რეალურ საფუძველზე დაყენებას.

ამიტომ, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით და აღმასრულებელ კომიტეტის თაოს-

*) ე. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშის გამოქვეყნების დაგვიანება აიხსნება იმით, რომ არც ერთი მისი ნაბიჯი თუ მის მიერ გატყეული დოკუმენტი, მის საკუთრებას არ წარმოადგენდა და ელემენტარული ეთიკა ავალღებდა მას, საქმის პროცესში, თავი შეეკავებინა საერთო კუთვნილების საჯაროდ გამოტანიდან, განსაზღვრული ეტაპის დასრულებამდე. თუ ზოგი დოკუმენტის გამოქვეყნებას ჰქონდა ადგილი რუსულ თუ სხვა პრესაში, ეს მოხდა მხოლოდ მიუღებელი და არალოიალური გზით და საშუალებით.

რედ.

ნობით ამა წლის 14-15 თებერვალს კარლსრუტეში მოწვეული იქნა ბელიორუსის, უკრაინის და საქართველოს წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც ერთხმად მიიღო—ერთი მხრით, ამერიკულ კომიტეტთან და მეორე მხრით რუს დემოკრატიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის აუცილებლობის პრინციპი, გამოიმუშავა ზოგადი დემულოებები და დაადგინა, ერთა გაფართოვებული კონფერენციის მოწვევა პარიზში. თავის დადგენილებათა განმარტებებში კონფერენცია აცხადებს:

„14-15 თებერვლის კონფერენცია, რომელშიდაც მონაწილეობდნენ გადმოხვეწილობაში მყოფი ეროვნული მთავრობები და მათთან მომუშავე ორგანიზაციები, აღიარებს რა ბელიორუსის, საქართველოს და უკრაინის ეროვნულ-ბოლიტიკურ ცენტრთა მოქმედების კოორდინაციის აუცილებლობას და, განიხილა რა, ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამერიკულ კომიტეტთან თანამშრომლობის საკითხი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კონფერენციის მონაწილე ყველა მხარე, თავის მოქმედების სექტორზე და, განსაკუთრებით, ქართველი წარმომადგენლები, ამერიკულ კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის ბაზის ძიებაში, იცავდნენ საბჭოთა კავშირის დაჩაგრულ ერთა საქმეს და მოქმედებდნენ მათი ეროვნულ სახელმწიფოებრივი ინტერესების მიხედვით“.

მარტის შუა რიცხვებში მიუხედავად იქნა ამერიკულ კომიტეტის თავმჯდომარე ადმირალი სტივენსი, ანტიბოლშევიკური ცენტრის მუშაობის გასაცნობად, ბ-ნ. ცინცაძის ინიციატივით და წინადადებით ადმირალმა აუცილებელ საჭიროდ სცნო დაპყრობილ ერთა წარმომადგენლებთან შეხვედრა, მათი მოთხოვნილებების და პირობების განსახილველად მეგობრულ საუბარში. შეხვედრას ადგილი ჰქონდა პარიზში. მოლაპარაკებას დაესწრო კარლსრუტეს ჯგუფი, სომეხთა წარმომადგენლების დამატებით. შეგობრული და საქმიანი ბასით შეტად დაინტერესებულმა ადმირალმა სთხოვა თავის თანამოსაუბრეებს, ამ მოლაპარაკების შინაარსი გადაეცათ ამერიკული კომიტეტისათვის, განსაკუთრებული მემორანდუმის სახით.

28 მარტს შეიკრიბა ერთა კონფერენცია პარიზში. დაესწრნენ: ბელიორუსის, უკრაინის, სო-



მხეთის, ჩრდილო კავკასიის, აზერბაიჯანის და საქართველოს ეროვნულ ცენტრთა წარმომადგენლები. კონფერენციამ დაადასტურა კარლს-რუჰვეში მიღებული ანტიბოლშევიკური ცენტრის გაძლიერების პრინციპი და თანახმად აღმირალოს თხოვნისა, გამოიმუშავა ამერიკულ კომიტეტისათვის გადასაცემი მემორანდუმი ოთხი მუხლისაგან. მემორანდუმის შესავალი შეიცავს ზოგად მოსაზრებებს ჩრდულ იმპერიალიზმის მსხვერპლ ერთა უფლებების შესახებ და ასახულებს ამ უფლებათა პატივისცემის აუცილებლობას ანტიბოლშევიკური ბრძოლის გასაძლიერებლად და ნამდვილი მომქმედო ცენტრის დასაარსებლად. აი ეს მუხლები:

1. „საერთო საკოორდინაციო ცენტრში შემაგალი თვითეული ეროვნული ერთეული ვალდებულია პატივისცეს პარტიზარის ეროვნულ განთავისუფლების იდეალებს და ლოიალურად მოეპყრას მათ; ყველა მონაწილემ მხედველობაში უნდა მიიღოს საბჭოთა კავშირის ხალხთა მისწრაფების ფაქტი თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად და შეუირიდეს მას. ამის მიხედვით, ცალკე ერთა წარმომადგენლობას უნდა მიეცეს ანტიბოლშევიკური ბრძოლის გაძლიერების საშუალება, თანახმად აღნიშნულ მისწრაფებისა“;

2. „ერთის წარმომადგენლობათა თანამშრომლობა უნდა იყრიდნობოდეს კოორდინაციის პრინციპს და არა საერთო ხელმძღვანელობის საწყისს, რაც რიცხვს მუდმივად მომქმედ ხელმძღვანელ ორგანიზების საჭიროებას. საკოორდინაციო თავიერთობაზე დადგენილებები მიიღებან შეთანხმების და არა უმრავლესობის პრინციპის მიხედვით. მთელი პრაქტიკული საქმიანობა თავს იყრის ცალკე ეროვნულ წარმომადგენლობის ხელში და თვითეული მათგანი სარგებლობს სრული თავისუფლებით თავის განმათავისუფლებილ პოლიტიკის ყველა დარგში“;

3. „ეროვნული ჯგუფები წარმოდგენილი არიან საკოორდინაციო ცენტრში პარტიკტის საფუძვლიზე, გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის (O. N. U.) პრინციპის მიხედვით“;

4. „ცენტრში მონაწილეებად დაშვებულთა უნდა იქნას ეროვნული ჯგუფთა ნადვილი წარმომადგენლები და არა ხელოვნურად შექმნილი ორგანიზაციები“.

„იმ შემთხვევაში თუა ჩრდილ მიწების გამო შეუძლებელი ვახდა საბჭოთა კავშირის ხალხთა საკოორდინაციო ცენტრის დაარსება, ამერიკულ-

ლმა კომიტეტმა უნდა განიხილოს ორი განკერძოებულ ცენტრთან თანამშრომლობის შესაძლებლობა: ერთი — არსრუსებისა და მეორე — მხოლოდ ჩრდული ორგანიზაციების. არა რუს ერთა ცენტრის დაარსება შეიძლება ადვილად და სწრაფად ზემოდ აღნიშნულ დებულებების საფუძველზე“.

ეს დოკუმენტი გაცვზახნა ამერიკულ კომიტეტს 31 მარტს, ზემოაღნიშნული ექვსი ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთა და საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნი ევ. გვეტკორის ხელის მოწერით.

თავის პასუხში*) ამერიკული კომიტეტი ესალმება დაპყრობილ ერთა წამოწყებას ანტიბოლშევიკური ბრძოლის ცენტრის გასაძლიერებლად და სთხოეს მათ მოახერხონ თვით ცენტრში მოთავსება და მისი ნაკლის შიგნიდან გამოსწორება. მას შეუძლებლად მიიჩნია, დღევანდელ პირობებში მემორანდუმის მე-2 და მე-3 მუხლების მიღება, რაც, მისი აზრით ნიშნავს ერთა საკითხის წინასწარ გადაწყვეტას და ცენტრში არარუს ორგანიზაციების დომინაციას, ამერიკულ კომიტეტს, არ შეუძლია ასეთი ნაბიჯების გადადგმა, — განაგრძობს აღმირალი სტიკენი, რადგან მისი დანიშნულება და მოქმედება განისაზღვრება მხოლოდ ანტიბოლშევიკურ ძალთა გაერთიანებით და მათი ყოველმხრივი დახმარებით. ის არ სთვლის, აგრეთვე, საჭიროდ საგანგებო კონფერენციის მოწვევას.

15 მაისს მიუნხენში გაიხსნა საკოორდინაციო ცენტრის პლენუმი. დღის წესრიგში იდგა ერთადერთი საკითხი — ახალი წევრების მიღება. ესენი იყვნენ უმთავრესად უკრაინელი ფედერალისტები გულისა და მთავარიჩუკის მთავრობით. ჩხოვორც ზიკით აღენიშნეთ, ფედერალისტების მიღება შეუადგენდა ერთ მომინტს იმ ტენდენციისა, რომილსაც იჩენდა ჩრდული ორგანიზაციების უმრავლესობა კერენსკი-მელკონოვის მეთაურობით. ცენტრისათვის კავლენის ქერ დაყენების მიზნით. ეს ვარემოება ხელს უშლიდა უკრაინისა რადს მიელო ცენტრში მონაწილეობა. მუდმივ დელეგატებთან ერთად — ბ. ნ. ცინცაძე და დ. სხირტლაძე — აღმ. კომიტეტმა პლენუმზე მიავლინა ბ. ნ. ჟრუჟაძე, ხოლო ერთა საკონტაქტო კომისიაში — ბ. გ. კერესელიძე. კომიტეტმა სთხოვა ბ-ნი ევ. გვეტკორს მიელო აქტიური მონაწილეობა ამ გადაშ-

*) იბეჭდება აქვე.



წყვეტ) შოლაპარაკებაში და თავისი გამოცდი-
ლებით და ავტორიტეტით შეეწყო ხელი საქმის
სასურველად. დაბოლოებისათვის.

პლენუმი გაიხსნა არანორმალურ პირობებში,
რადგან უკრაინელი ფედერალისტები, რომელთა
დაშვების საკითხი უნდა გარჩეულიყო, ერო-
ვნული სექციებისთვის მხოლოდ დასა-
სხდომაზე გამოცხადდენ. — გამოდიოდა, რომ
პლენუმის ბიუროს შედეგებში მათაც მონაწი-
ლეობა უნდა მიეღოთ; ეს ძალიან წააგავდა კე-
რენსკი - მელიგუნოვის მიერ ჩაწყობილ კომბი-
ნაციას. ეროვნული სექციები ბ-ნ ნიკოლაევსკის
ენერგიული მხარისა დაჭერით, მთითხოდნენ
მათ სხდომიდან გასვლას. პლენუმი, ამკარად,
გაიყო ორ მოპირდაპირე ბანაკად. სამი რუსული
ორგანიზაცია კერენსკის მეთაურობით და ერთი
სომხურ - სატელიტური; საპარტინო ხელმძღვანე-
ლობით ერთი მხრით, ეროვნული სექციები ბ-
ნ. ცინცაძის და რუსული ლიგა ბ-ნ ნიკოლაევსკის
მეთაურობით — მეორე მხარეზე. ამ გარემოე-
ბამ თვით ფედერალისტები ჩააყენა უხერხულ
მდგომარეობაში, რომლიდან გამოსავალი ჰპო-
ვეს სხდომის დატოვებაში, დაუბატოებელი
სტუმრების წასვლის შემდეგ, პლენუმი შეუდგა
თავისი ბიუროს არჩევას, არჩევნები ჩატარდა
ნორმალურად. მასში მონაწილეობა მიიღო ორ-
ივე მხარე, რაც მის კანონიერებას უზრუნველ-
ყოფდა. კიდევ მეტი, თვით კერენსკის წინადა-
დებით პლენუმმა დაადგინა, მიუხედავად თავმო-
ყრილ მემორანდუმის ხელის მოშორებთან
მოლაპარაკების გამართვა. ქვევით დავინახავთ,
თუ როგორ დაარღვია ზემოხსენებულ ოთხმა
ორგანიზაციამ, კერენსკი - მელიგუნოვის მეთაუ-
რობით, საქმის ეს ნორმალური მსვლელობა.

მიუხედავად ამერიკული კომიტეტის ჟიარყო-
ფითი დამოკიდებულებისა საგანგებო კონფე-
რენციის მოწვევის საქმეში, მიუნხენში თავმოყ-
რილ ერთი წარმომადგენლები შეუდგენ საერთო
ზათბირს, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია ამ-
ერიკულ წრეებში. მოვიდა დიდი ძალა, რომე-
ლსაც შეეძლო ანტიბოლშევიკური ბრძოლის
საქმეში უდიდესი როლი ეთამაშა. მომხდარმა
ფაქტმა სძლია ამერიკელთა მერყეობა და მ-
თაც მოინდომეს ამ შესაძლებლობის მაქსიმალური
გამოყენება და ხელის შეწყობა.

იმ დროს, როცა ცენტრის პლენუმზე ორ მი-
მდინარეობის შეხვეტება ხდებოდა, პარიზის მე-
მორანდუმის (პარიზელ ბლოკად წოდებული)
ხელის მოშორნი იკრიბებოდნენ ტევერსკევი;

მათ სხდომებს რეგულიარულად ესწრებოდნენ
ამერიკულ კომიტეტის რწმუნებულები პეტრი
და ალექსანდერი. ერთა თავყრილობამ გამომიღ-
შავა მემორანდუმის საფუძველზე აგებული სა-
მი პირობა ცენტრის წევრებთან მოსალაპარაკე-
ბლად. რუსული ორგანიზაციების თანხმობის შე-
მდეგ, 1 ივნისს ტევერსკევი შეიკრიბა ყრილო-
ბა ოთხი რუსული ორგანიზაციის (სომეხთა ჩა-
თვლით), ოთხი ეროვნული სექციის და რუსული
ლიგის და „პარიზის ბლოკის“ მონაწილეობით,
რომელმაც აირჩია შემათანხმებელი კომისია შე-
მდევი შემადგენლობით:

1. რუსული ორგანიზაციებიდან: ბ.ბ. კერენსკი,
მიხაილოვსკი, ანტონოვი, საპარტინი.
2. ცენტრის უმრავლესობიდან: ბ.ბ. ნიკოლა-
ევსკი, ბუტენკო (რუსული ლიგა), ამმან ბერდი
მურატ, ხოდაროვი;
3. პარიზის ბლოკიდან (ერები): ბ.ბ. ევ. გეგე-
კორი, ნამიტოკი—ჩრდ. კავკ., ნავასარდინი—
სომხ. ორგ., ლივიცი—უკრ. რსდა, აპრამჩიკი—
ბელორ. რსდა, შეიხულ ისლამი—ზერბ.

კომისიის თავმჯდომარეთ ერთმად არჩეულ
იქნა ბ-ნი ევ. გეგეკორი. აღნიშნული კომისია
შეუდგა მუშაობას 8 ივლისს. როგორც აღნიშ-
ნული იყო, ყველა სხდომებს ესწრებოდნენ ამე-
რიკული კომიტეტის რწმუნებულები.

პირველი სხდომა გაიხსნა თავმჯდომარის ქრ-
ცელი სიტყვით ანტიბოლშევიკური ფრონტის
აუცილებლობის და საერთო თანხმობის შესაძ-
ლებლობის შესახებ. ბ-ნი ევ. გეგეკორის საპ-
როუგრამო შესავალი სიტყვა წარმოადგენდა ერო-
ვნულ სექციასთან ნორმალურ მოთხოვნილებების,
და რუსული დემოკრატიული წრეებთან და ამე-
რიკულ კომიტეტთან თანასწორობის საფუძვე-
ლზე თანამშრომლობის აუცილებლობის დასა-
ბუთებას. ემიგრაციის ვაღივ ისარგებლოს თა-
ვისუფალ ქვეყნებში არსებული საშუალებებით
საბჭოთა ხალხების განთავისუფლების საქმეში.
თავმჯდომარეს მხურვალე და გულწრფელმა
მოწოდებამ ბრძოლაში გაერთიანებისაკენ ღრმა
შთაბეჭდილება მოახდინა აუდიტორიაზე და გა-
დამწყვეტი გავლენა იქონია კომისიის მთელ მუ-
შაობაზე. აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი მოვ-
ლენა, რომს მანამდე საკოორდინაციო ცენტრის
გარეშე მყოფი ეროვნული სექციები, რომელთა
დამოკიდებულება ამ წამოწყებისადმი უნდობ-
ლობით თუ ეჭვიანობით ხასიათდებოდა, ამიე-
რიდან მთელი თავისთი პოტენციით, გულით
და სულით შეეცადენ გაერთიანების დაბოლო-



ებას. ეს ნათლად გამოჩნდა კომისიის მუშაობის პროცესში, როცა ბელორუსიის, უკრაინისა და სომეხთა წარმომადგენლები მზად იყვნენ ყოველგვარ დათმობაზე — რასაკვირველია ეროვნულ სახის შენარჩუნებით, — რუსთა მფუტრებელობის დასაძლევად. ამის საუკეთესო მაჩვენებელია ბ.ბ. აბრამჩიკის, ლივიციკის და ნავასარიანის მეთად ლოიალური და საზრიანი ჩარევები დისკუსიებში. აღსანიშნავია აგრეთვე, ბ-ნიკოლავესკის ლოიალობა და თავდადება საქმის წარმატებისათვის; კაცცი, რომელიც მისმა თანამემამულეებმა შოლალატეთ ვამოაცხადეს და შინაური ტერორის ალყა შემოარტყეს.

ექვსი სხდომა შიანდომა კომისიამ დაპყრობილ ქრთა ელემენტალურ უფლებებზე დავას კერძისკი - მელუნოვის ჯგუფთან, მაგრამ მისი მფუტრებლობა ვერ მოსტება. პირიქით, ამ ჯგუფის აგრესიობა და იმპერიალისტური, არსდემოკრატიული მიდგომა საქმისადმი, ყველასათვის ნათელი და აშკარა გახდა. მეშვიდე სხდომაზე რუსული სექცია კერძისკის მეთაურობით, რომელმაც ვერავითარი დათმობა ვერ გაბედა და ვერავერი გაიგო, სათანადო განცხადებით სტოვებს კომისიას და უარს ამბობს ყოველგვარ მოლაპარაკებაზე. თავისი უტაქტობით და მომენტის სრული უცოდინარობით, მან ვამოარკვია ნამდვილი სახე.

ამ სექციის შეუსაბამობა და იმპერიალისტური მფუტრებლობა ამ საქმით არ გათავებულა. თხმა ორგანიზაციამ მორე დღესვე მოიყარა თავი, მოგონების მსვლელობა აღიარა უკანონოთ, ცენტრის უმრავლესობა ვამოიცხულად ვამოცხადა (!) და მუქარა - ტერორის ატმოსფეროში შეუდგა დამოუკიდებელ საქმიანობას. ცხადია, ამ შეუსაბამო დემონსტრაციას ეროვნებათა დელეგაციის მუშაობის დარღვევის წერილ არ გააჩნდა.

იგრძნო რა დაპყრობილ ქრთა ძალა და მნიშვნელობა ანტიბოლშევიკური ფრონტის გაძლიერებაში, ამერიკულ კომიტეტმა საგანგებოდ მოავლინა მიუნხენში სორი წარმომადგენელი ბ.ბ. კელი და კუნციოლში, რომლებიც ადვილზე დარწმუნდნ ცენტრიდან გასულ ჯგუფების ანტიდემოკრატიულ და ანტიეროვნულ სულისკვეთებაში და სათანადო მასალებით დაბრუნდნ ამერიკაში.

მიუხედავად რუსული ჯგუფის ვასვლისა, კომისიამ განაგრძო მუშაობა და ერთი წუთითაც

არ მიუტოვებია თავისი მაქსიმალურად ობიექტური და შემარიგებელი პოზიცია. მან იარჩია ქვეკომისია საკოორდინაციო ცენტრის არსებულ წესდების შესასწავლად და მომავალი ცენტრის წესდების პროექტის შესამუშავებლად. ქვეკომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი, დაწვრილებით განხილვის და შესწორების შემდეგ, კომისიამ ერთხმად მიიღო და გაერთიანების ხარტით აღიარა*). ამით დასრულდა კომისის მუშაობა.

17 ივნისს, პროექტი მიღებულთ და დამტკიცებულთ იქნა პარიზის ბლოკის და საკოორდინაციო ცენტრის ორგანიზაციითა საერთო სხდომის მიერ, რომელმაც დაადგინა: ვადეგზავნოს პროექტი ცალკე ორგანიზაციებს დასამტკიცებლად და თავისი მოსაზრებებთ წარმოსადგენად.

პროექტის წარდგენის შესავალ სიტყვაში მომხსენებელმა ბ-ნმა ლივიციკიმ აღნიშნა გაერთიანების და ლოიალობის სული, რომლითაც ხელმძღვანელობდა კომისია პროექტის შედგენის დროს. მისი ბაზა იყო ცენტრის არსებულ წესდება, რომელშიდაც მცირე შესწორებების შეტანით, კომისია შეეცადა ვაეადვილებთ ცენტრის ვარეშე ჯგუფთათვის ამ ორგანიზაციის წიაღში მოთავსება და აეცილებთ კერძისკი-მელგუნოვის ჯგუფთან გამწვაება, რასაც ასეთ დიდ მნიშვნელობას აკუთვნებთ ამერიკული მეგობრები.

გაერთიანებულთ სხდომის დასასრულს ბ-ნი ნავასარიანი გულითად მადლობას უცხადებს ამერიკული კომიტეტის რწმუნებულებს, მიუდგომელი თანამშრომლობისა და პროექტის დამუშავების ხელის შეწყობისათვის; ბ-ნი ე.ე. გევეჭკორს—კომისიის მუშაობის ენერგიული, მიუდგომელი და ვამოცდილი ხელით წარმართვისათვის; ბ.ბ. ნიკოლავესკის და ნ. ცინცაძეს, რომელთა ვამოცდილებით და რჩევებით, დიდად ისარგებლთ კომისიამ საბოლოო ტექსტის დადგენაში.

კომისიის მუშაობით უალრესად დაინტერესებულთ ამერიკულ კომიტეტმა სთხოვა მას ხელმეორედ განმარტა თავისი პოზიცია ერთა საკითხის „წინასწარ ვადწყვეტის“ შესახებ და მათ უფლებზე — თავისუფლად ვამოარკვიონ თავიანთი ბედი ბოლშევიზმის დაცემის შემდეგ. თავნჯდომარის მიუნხენში არ ყოფნის გამო, ამ შეკითხვაზე კომისიის სახელით, 20 ივნისს პას-

*) იბეჭდება აქვე.



უხი გასცა თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნ ნა-
ვასარდიანმა*).

როგორც ვიცით, ამერიკული კომიტეტის და-
ყენებით მოთხოვნილება იყო, მიუხედავად
მოდგენილ ყველა ორგანიზაციის შეთანხმება
რუსების ჩათვლით. განხრახნულ ცენტრში წარ-
მოდგენილი ორი რუსული დემოკრატიული ორ-
განიზაცია — ლიგა და „სბონი“—მან ჯერ-
ჯერობით ვერ ჩასთვალა რუსული სექტორის სა-
მაო წარმომადგენლობით და სათანადო ვადაწ-
ყვეტილების მიღებად საჭიროდ მიიჩნია თანა-
მშრომლობის შეწყვეტა და სთხოვა ეროვნულ
ორგანიზაციებს, რომლებიც არი მონაწილეობენ
რადიოს მუშაობაში, დაასახელონ თავიანთი
კვალიფიციური წარმომადგენლები ამ საქმიან-
თვის. ეს მოწოდება ეხება ბელორუსიას, უკრა-
ინას და სომხეთს, რომელთაც მას დადებითად
უპასუხეს.

რაც შეეხება რადიო — „განთავისუფლების“
ქართულ სექციას, აღმასრულებელი კომიტეტ-
მა ვადაცემების დაწყებისთანავე შეივლინა, მთა-
ვარ რედაქტორად, დამსახურებული მოღვაწე
და ვამოცდილი უურნალისტა, კომიტეტის წევ-
რი ბ-ნი რ. არსენიძე, რომელმაც დღევანდელ
სტატუსის მიერ მინიჭებული უფლებები მაქსი-
მალურად გამოიყენა ქართულ ბრძოლის ინტე-
რესებისათვის, როგორც ვადაცემების სტილით,
ისე ლოზუნგების დროულობით. ქართული სექ-
ცია ითვლება დღეს რადიოს სანიმუშო განყო-
ფილებათ.

ამერიკულ კომიტეტისათვის საბოლოო ვადა-
წყვეტილების გასაადვილებლად და ერთა პოზი-
ციის გასარკვევად ბ-ნ ივ. გეგეჭკორმა მიმართა
მას პირადი მემორანდუმით*), რომელშიც დაც
ანიშნულია და განმარტებული დაპყრობილ ქრ-
თა უფლებები და მოთხოვნილებები ისე, როგ-
ორც საერთო ბრძოლის ცენტრის საფუძვლები.

ასე დამთავრდა აღმასრულებელი კომიტეტის
მუშაობის მეორე პერიოდი, რომლის გაწვრივ
ქართულმა სექციამ ითამაშა თავისი ტრადიცი-
ული როლი ერთა შორის მორიგების, მათი ხე-
ლუხლუხი უფლებების დაცვით და დადები-
თი საქმიანობის მომზადებით.

ამ მრავალმხრივი და რთული საქმიანობის
შედეგი მრავალგვარია:

1. ერთა დარაზმვა ანტიბოლშევიკური ბრძო-
ლის ასპარეზზე;

*) იხეველბა სქვე.

2. რუსეთის ბრძოლემის ჯეროვან სიბრტე-
ზე დასმა საერთაშორისო და, განსაკუთრებით,
ამერიკული საზოგადოებრივი აზრის წინაშე;

3. ანტიბოლშევიკური ბრძოლის ძალთა კრი-
სტალიზაცია და

4. რუს ემიგრაციის მემარჯვენე ნაწილის აგ-
რესიული და იმპერიალისტული განწყობილების
შზის სინათლეზე გამოტანა.

სიტყვა ეკუთვნის ამერიკულ კომიტეტს, რა-
მდენადაც მისი წამოწყების საღ ნადავზე და-
ყენება მასზეა დამოკიდებული.

ამას კი ხელს შეუწყობს და დააჩქარებს ერ-
თა შორის საკოორდინაციო ცენტრში რუსული
დემოკრატიული სექციის გაძლიერება. მიმდინა-
რე მუშაობას ამ მიმართულებით ხელმძღვანე-
ლობს შეერთებული სხდომის მიერ არჩეული სა-
მდიენო ბ-ნი ივ. გეგეჭკორის თავმჯდომარეო-
ბით, და ბ.ბ. ბუტენკოს, მილოვანოვის, ლივიც-
კის და ტერ-ტომასიანის მონაწილეობით.

ვინ.

ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამერიკული კომიტეტი

(პასუხი „პარიზელ ბლოკის“ მემორანდუმზე)

ძვირფასო ბატონებო!
მივიღე თქვენი, 31 მარტის 1953 წ., წერილი,
რომელიც შეიცავს, ჩემს განსახილველად მოგ-
ზავნილ მემორანდუმს, ანტიბოლშევიკური ბრ-
ძოლის გაძლიერების შესახებ.

ჩვენი შეხვედრის შემდეგ, 21 მარტს პარიზ-
ში, მე ვატარებდი იმედს, რომ თქვენ მხედველ-
ობაში იმობდით იმ ვარემობას, რომ ამერი-
კულ კომიტეტს არავითარი შემთხვევაში არ შე-
უძლია ხელი აიღოს ანტიბოლშევიკური ბრძო-
ლის საკოორდინაციო ცენტრზე და მოიწვიოს
კონფერენცია ახალი ორგანიზაციის შესაქმნე-
ლად. საკოორდინაციო ცენტრი იყო ნაყოფი,
რუს და არარუს ჯგეფთა შორის ხანგრძლივი და
რთული მოლაპარაკებების და მიუხედავად იმი-
სა, რომ ჩვენ ყველამ—ცენტრის წევრებმა, ისე
როგორც ამერიკულმა კომიტეტმა—კარგად ვი-
ციოთ, რომ ის არ არის სრულყოფილი ორგანი-
ზაცია, მისი დამკვიდრება მაინც წარმოდგენდა
საბოლოო მიღწევას ამერიკულ კომიტეტის მიზ-
ნის მიმართულებით — საბჭოთა კავშირის ხალ-
ხების საერთო ფრონტის შექმნა, ბოლშევიზმის
წინააღმდეგ საერთო ბრძოლის საწარმოებლად.



როგორც თქვენ, ალბათ, იცით, საკოორდინაციო ცენტრის პოლიტიკური პლატფორმა და ორგანიზაციული საფუძველი გამოთქმულ იქნა მონაწილე რუს და არა რუს ორგანიზაციებს შორის. ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, ისინი არ მოუხვედია ცენტრისათვის ამერიკულ კომიტეტს. მაშასადამე, ყოველი აუცილებელი ცვლილება, ამ ორგანიზაციის გაძლიერებისათვის, მიღებული უნდა იქნას თვით ცენტრის წევრებთან შეთანხმებით.

მე მგონია, რადგან ორი თქვენ ჯგუფთაგანი უკვე წარმოდგენილია ცენტრში, ძნელი არ იქნება მასთან შეთანხმება სხვა დანარჩენ ჯგუფთა დასაშვებადი. ჩემის გაგებით, ცენტრის წევრებმა, რუსებმა და არა რუსებმა, კარგად იციან, რომ ცენტრი, როგორც მუდმივი და განვითარების პროცესში მყოფი ორგანო, ყოველდღიურ პოლიტიკის ცვალებადობის გარეშე ტუნდა იდგეს და შესძლოს, დროგამოშვებით მიიღოს შესატყვისი ახალი ფორმულები არსებული სტატუსის გაუმჯობესების და გარკვევის მიზნით. როგორც პარიზში მოგახსენეთ, მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ცენტრის პლატფორმის და სტრუქტურის ყოველგვარი შეცვლა, უფრო ადვილად შესაძლებელია თვით ამ ორგანიზაციის შიგნით და ჯგუფებს, რომელთა მიზანია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნამდვილი თანამშრომლობა, უფრო ადვილად შეუძლიან თავიანთი გავლენის მოხდენა ცენტრში შესვლით და სტატუსის გაუმჯობესებაში და გაფართოებაში უშუალო მონაწილეობის მიღებით. მე ვერ ვავიზიარებ თქვენს შეხედულებას, თითქოს სტატუსში ყოველგვარი ცვლილების შეტანა შეუძლებელი გამბდაიროს.

სანამ თქვენს მემორანდუმში აღძრულ საკითხებს დაწვრილებით განვიხილავდ, ყოველგვარი გაუგებრობის ასაცილებლად ამერიკული კომიტეტის პოზიციის ირგვლივ, მე ხაზი უნდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ამერიკული კომიტეტი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუშვებს ორი განცალკევებული ცენტრის არსებობას. ეს იქნებოდა, პირდაპირ, წინააღმდეგი იმ მიზნისა, რომელიც დაახლოები აქვს ამ კომიტეტს, და, რომელიც, როგორც თვითონ იცით, მდგომარეობს საბჭოთა კავშირის ხალხების საქართო ფრონტის შექმნაში, ბოლშევიზმის წინააღმდეგ, საბრძოლველად. ორი ცენტრის არსებობა გააღრმავებდა ბრძოლაში მონაწილეთა განსხვავებებს; გაახანგრძლივებდა და უეჭველად, გაამწვავებდა

არსებულ უთანხმოებებს და შეაფერხებდა ბოლშევიკური რევოლუციის წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლის წარმოებას.

სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ მემორანდუმში თქვენ წსალმებით რუსული პოლიტიკური ორგანიზაციებთან საქართო ფრონტს ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და აცხადებთ, რომ არა გაქვთ არავითარი განზრახვა სთქვით მუდმივი რუსის ხალხის წინააღმდეგ, რომელიც თვითონ იტანჯება კომუნისტური უღლის ქვეშ. თქვენ საშაროლთანად აღნიშნავთ, რომ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წარმტება მიოთხოვს დემოკრატიული პრინციპების გაზარებას და ცნობას არა რუს ერებისათვის, უფლებისა შექმნან დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები, თუ ისინი ამას მოისურვებენ. საკოორდინაციო ცენტრი ემყარება დემოკრატიულ პრინციპებს და, უპირობოთი სცნობს საბჭოთა ტერიტორიაზე მტროვრებ ხალხების უფლებას თვით განსაზღვრონ თავიანთი ბედი.

რაც შეეხება თქვენ მიერ ჩამოთვლილ ოთხ პრინციპს, რომლებიც თქვენის აზრით, გაუხსნიან ყველა ეროვნებებს საქართო ფრონტში მონაწილეობის გზას, უნდა გითხრათ, რომ ამერიკული კომიტეტი ვერ სცნობს შესაძლებლად დაეთანხმოს თქვენს მოთხოვნებს, ცენტრში შემავალ ყველა ჯგუფთა მიმართ, გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის პრინციპის გამოყენებისა. მე ვფიქრობ, რომ ეს წინადადება სინამდვილითაც არ იქნება გამართლებული. ასეთ პრინციპზე აგებული ცენტრი მოექცევა სავსებით არა-რუს, ეროვნულ ჯგუფთა გავლენის ქვეშ. შეუძლებელია ასეთი პრინციპი გაიზიარონ რუსულ ჯგუფებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის მოსახლეობის, დაახლოებით, 50%-ს წარმოადგენენ. გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ ამერიკული კომიტეტი გადაჭრით წინააღმდეგია ცენტრში რომელიმე ჯგუფის უპირატესობისა.

მე ვფიქრობ, არც ერთი ნაციონალური ჯგუფი არ უნდა ისაკუთრებდეს პერროგატივას, წარმოადგინოს მის ხალხში არსებული ყველა პოლიტიკური მიმდინარეობა. ამა თუ იმ ეროვნების ყველა პოლიტიკურ ნიჭანსს, იქნება ის მარცხნივ თუ მარჯვნივ, აქვს საფუძველი ვახდეს ცენტრის წევრი. ყველა ფხიან პიროვნებას, რომელსაც ამ უამად ცენტრში შემავალ ჯგუფის მუშაობა არ აკმაყოფილებს, საშუალება აქვს შეუერდეს რომელიმე ჯგუფს და შეეცა-



ლოს შიგნიდან მოუწინახოს მალაშო არსებულ ნაკლულეფანებებს.

რაც შეეხება თქვენს მიერ აღნიშნულ დანარჩენ პრინციპებს, ესენი შინაგან წყობის საქმეა და მათი გაარკვევა უნდა მოხდეს საკოორდინაციო ცენტრის წევრებთან მოლაპარაკებაში; ხოლო, რადგანაც ზოგიერთი ფრაზა არ მქრევენება საკმაოდ ნათლად, ჩემს მოვალეობად მიმჩნია, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აღნიშნული ზოგი ძირითადი პრინციპები, რომლებზედაც ეყრდნობა ამერიკული კომიტეტის საქმიანობა.

ამერიკული კომიტეტი დაარსდა, საბჭოთა კავშირიდან გადმოხვეწილი რუს და არა რუს ერთა ემიგრაციის დასახმარებლად, რაც შეიძლება ფართო ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნაში და, გაერთიანებული პოლიტიკური ცენტრის მორალური და მატერიალური ხელის შეწყობისათვის მათი სამშობლოს განსათავისუფლებელ ბრძოლის წარმატებაში. კომიტეტის თავებით და წარმოდგენით, პოლიტიკური ცენტრი უნდა იყოს ბოლშევიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის ორგანო და არა დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნის თუ ძველი რუსეთის იმპერიის მთლიანობის შენახვის საპრობაგანდო დაწესებულება. კომიტეტმა, რადგანაც შეეძლოა ნათლად განაცხადა, რომ მას შეუძლია ხელი შეუწყოს მხოლოდ ისეთ პოლიტიკურ ცენტრს, რომლის ბაზა იქნება არა-წინასწარი — გადაწყვეტილებების პრინციპი და იცნობს საბჭოთა კავშირის ხალხთა უდაო უფლებას თავი განავონ თავიანთი ბედი. თანახმად ამერიკული მთავრობის პოლიტიკის და ამერიკული ტრადიციებისა, კომიტეტის გაარკვეული პოზიციაა, რომ სხვა და სხვა ხალხებით დასახლებულ საბჭოთა ტერიტორიის პოლიტიკური ორგანიზაცია და მათი შორის პოლიტიკური ურთი-ერთობის საკითხის გადაწყვეტა ეკუთვნის მხოლოდ ამ ხალხებს ბოლშევიზმიდან განთავისუფლების შემდეგ და, არაფითარ შემთხვევაში, ამერიკული კომიტეტს არ შეუძლია ამ საქმეში ჩაერჩოს. ამერიკული კომიტეტი თავებით პატივს სცემს ეროვნულ იდეებს თუ მოთხოვნებს საბჭოთა კავშირის ემიგრანტებისა, ესეც მათი სამშობლოს დამოუკიდებლობა სწამთ. მაგრამ, რადგანაც შეერთებულ შტატების მთავრობას არაოდეს არ უცენია არც ერთ იმ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც წარმოადგენს ხელს აწერენ აღნიშნულ შემორანდუმს, ამერიკული კომიტეტს არ შეუძლია გამოაცხადოს

თუ იცნოს ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობა; ის ვერ გაიზიარებს და ვერც ხელს შეუწყობს იმ მოძრაობას, რომელიც ამა თუ იმ ტერიტორიის წინასწარი — გადაწყვეტილი დამოუკიდებლობისკენ არის მიმართული. იმედია, დამეთანხმებით, რომ ამერიკული კომიტეტს არ შეუძლია თავს ნება მისცეს, აიღოს ისეთი პოზიცია, რომელიც წინასწარი განსაზღვრავს საბჭოთა ხალხების უფლებას, თავიანთი გადაწყვეტონ თავიანთი საკუთარი სახელმწიფო ორგანიზაციის ფორმა. როგორც იცით, პოლიტიკური ცენტრში მონაწილე ორგანიზაციებს არ უარუყვიათ თავიანთი განკერძოებული ორგანიზაციული არსებობა ან მათი პოლიტიკური პროგრამა; მათ ხელი არ აუღიათ საკუთარი ხაზით მუშაობაზე საკოორდინაციო ცენტრის გარეშე, რამდენადაც ეს შეუძლება არ უპირისპირდება ცენტრის სტატუსებს. ყოველ მონაწილე ორგანიზაციას ძალიან უარგად შეუძლია მტკიცედ შეინარჩუნოს თავისი პოზიცია სრული ეროვნული დამოუკიდებლობისა და დაუტრვოს თავის ხალხს საშუალება თავი განსაზღვროს თავისი მომავალი განთავისუფლების შემდეგ.

ჩემი და კომიტეტის იმედია, რომ ის ხალხები, რომლებიც დღეს არ არიან წარმოდგენილი ცენტრში, ითანამშრომლებენ იმ რუს და არა რუს ორგანიზაციებთან, რომელთაც არ მიუტოვებიათ თავისი იდეალები, რწმენა თუ მოთხოვნები, მაგრამ შეთანხმდენ მთილონ მონაწილეობა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ამ ხალხებს განთავისუფლებს კომუნისტური დიქტატურისგან და გზას გაუხსნის მათ სამშობლოში ხალხის სურვილის შესატყვისი რეჟიმის დამყარებას. საკოორდინაციო ცენტრის ეს ორმაგი ნიშანი ღირსისა თქვენი გულწრფელი თანამშრომლობისა.

თქვენი ერთგული ლ. ს. სტივენს
თავმჯდომარე.

4 მაისი, 1953 წ.

I. წესების პროექტი
ერთა - შორის

საკოორდინაციო ანტიბოლშევიკური ცენტრი.
ზოგადი დებულებები:

1. „ე.-შ.ს.ს.ც.“ არსდება ანტისაბჭოური კომუნისტური დიქტატურის სალოცვიდაცობა ბრძოლის ასაწყობად და საკოორდინაციოთ, ე. ი. იმ საქ-



მიანობისათვის, რომელიც თანამედროვე საბჭოთა კავშირის ხალხებს გაუხსნის გზას თავისუფლებისა და ისეთი დემოკრატიული წყობის დამყარებისაკენ, რომელიც მათ მოთხოვნილებებს უპასუხებს;

2. ე.წ. „შ.ს.ს.ს.ს.“ იწყობა ფართე პოლიტიკური საფუძველზე: საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა დემოკრატიული ემიგრაცია, შეძლებისდაგვარად, წარმოდგენილი უნდა იქნას ცენტრში;

3. ე.წ. „შ.ს.ს.ს.ს.“-ში არ დამშვიდობან ჯგუფები, რომლებიც იღწვიან რევოლუციის წინაწყობის აღსადგენად და ტოტალიტარული დიქტატურის ამოღების დამსახურებლად, იგრეთვე ის ჯგუფები, რომლებიც ეწევიან ერთნაირი სიი უღვილის პროპაგანდას და ილტვიან გადასკრან ქროვნიული საკითხი ტოტალიტარული კონცეციის მიხედვით, ხალხის ნებისყოფის გარეშე, ან ცდილობენ, იმპერიალისტურა დაწალოთ, შეკვეციონ ხალხთა უფლება თვით განაგონ თავისთი ბედი.

4. ცენტრში მონაწილენი, რომელთაც აქვთ სხვადასხვა შეხედულება თანამედროვე საბჭოთა კავშირის ერთა ურთი-ერთ მიმართების საკითხის გადაწყვეტაში, გამოდიან რა თვითთული ხალხის სუვერენული უფლების პრინციპიდან—თვით განაგოს თავისი ბედი და ამ უფლების რეალური უზრუნველყოფის საფუძველზე და აღიარებენ რა, რომ ე.წ. „შ.ს.ს.ს.ს.“-ის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ბოლშევიკური დიქტატურის სალიკვიდაციო ბრძოლა, იტოვებენ უფლებას დაიცვან თავისთი განსხვავებული შეხედულება—მისწრაფებანი და იღებენ ვალდებულებას ტოლერანტულად მოეპყრან პარტნიორთა ასეთივე შეხედულებებს.

5. ე.წ. „შ.ს.ს.ს.ს.“ წარმოადგენს საბჭოთა ხალხების თავისუფლებისათვის ბრძოლის კოორდინაციის ორგანოს და არა ემიგრაციის საყოველთაო გაერთიანებას. ცენტრში შემავალი ორგანიზაციები თავის-თავს არ სთვლიან მონაველ სახელმწიფო ორგანოების ჩანასახად, ამის მიხედვით, ამა თუ იმ ასალი ორგანიზაციის მიღება ცენტრში ივანისაზღვრება მის მიერ შემოღონიშნული პრინციპის გაზიარებით.

II. პოლიტიკური პლათფორმა

გამოდის რა გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის მიერ აღიარებულ ხალხის, ადამიანის და მოქალაქის უფლებათა პრინციპისაგან, ე.წ. ს.

ა. ც. თავის საქმიანობას საფუძველად უდებს შემდეგ პოლიტიკური პლათფორმას:

1. შეუკრივებელი ბრძოლა კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ მის სრულ განადგურებაში;

2. ხალხის სრულუფლებიანობის პრინციპის განადგება;

3. ცნობა საბჭოთა კავშირის ხალხების უდასუფლებიას, თვით განაგონ თავისთი ბედი, თანახმად თავისუფლად გამოვლენილ მათი ნებისყოფისა, რის შესაძლებლობაც დადგება მხოლოდ ბოლშევიზმის დაცემის შემდეგ;

4. უზრუნველყოფა მოქალაქეთა სრული პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების, განურჩევლად ქროვნების, რწმენის და სქესის;

5. უზრუნველყოფა სინდისის და რწმენის თავისუფლების;

6. ლიკვიდაცია ადამიანის ექსპლოატაციისა ადამიანის, პარტის თუ სახელმწიფოს მიერ; დაქვემდებარება სახელმწიფოს პოლიტიკის პიროვნების თავისუფალი განვითარების ინტერესებისადმი და ხალხთა ნივთიერი და კულტურული ღონის ამალღება;

7. გაუქმება ტერორის და ძალადობის სისტემისა, გაუქმება კონცანაკების და მონური იძულებითი შრომის, განთავისუფლება პოლიტიკური პატიმართა, დაბრუნება სამშობლოში რეპრესიისა და მსაიური გადასახლების მსხვერპლთა;

8. დიქტატურის დამხობის შემდეგ, შერისძიების პოლიტიკის აღკვეთა;

9. გაუქმება კოლხობების და გადასახლების იძულებითი სისტემის. მიწის გლეხებისადმი გადაცემა სრული უფლებით თვით ამოირჩიონ მიწის საკუთრების და დამუშავების ფორმა;

10. განთავისუფლება შემოქმედების და ხალხთა კულტურული ცხოვრებისა სახელმწიფოებრივი იძულების ყოველგვარი ფორმისაგან;

11. ლიკვიდაცია საბჭოთა აგრესიული საგარეო პოლიტიკის ძალ-მომრეობის აქტების.

III. ორგანიზაციული პრინციპები

ცენტრის შენობას საფუძველად იღება შემდეგი პრინციპები:

1. თანასწორუფლიანობა და ავტონომია ცენტრში შემავალ ჯგუფთა, რომელთა კომპეტენციის შემდის პროპაგანდის ფორმის და მეთოდების გამომუშავება ცენტრის საერთო პოლიტიკური პლათფორმის ნიადაგზე და თანახმად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხთა სუვერული პირობებისა;

2. კოორდინაციის და არა ცენტრალური ხელმძღვანელობის პრინციპი;

3. შეთანხმება საერთო საკითხების გადაწყვეტაში.

ცენტრის საერთო ამოცანაა:

- ა. ფსიქოლოგიური ბრძოლის და ანტი-ბოლშევიკური პროპაგანდის საერთო საწყისთა ცამომუშავება;
- ბ. ცენტრში შემავალ ცალკე ეროვნულ ჯგუფთა საქმიანობის შეთანხმება;
- გ. სოლიდარობის, სურთი-ერთ გაგების და ლოიალური თანამშრომლობის განმტკიცება ცენტრის სხვადასხვა ეროვნულ ჯგუფთა შორის.

მუშაობის მუდმივი გამოსამუშებლად და ცენტრის დროებით სახელმძღვანელოდ არსდება დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც მუშაობს შეთანხმების პრინციპის საფუძველზე

ამერიკული კომიტეტის წარმომადგენლებს მიუხედავად ბ.ბ. ალექსანდერს და პეტს

ჩვენი კომისიის 20 ივნისის კერძო სხდომაზე განხილულ იქნა თქვენი შემდეგი მომართვა:

„ამერიკული კომიტეტის წარმომადგენლობა მიუხედავად სთხოვს „პარიზის ბლოკს“ განუშარბოს მას, იღებს თუ არა ის ქრების საკითხის ღიად დატოვების პრინციპს; და სახელდობრ უტოვებს თუ არა ის დღევანდელ საბჭოთა ხალხებს უფლებას, თვითონ თავისუფლათ გადასწყვიტონ თავიანთი ბედი ბოლშევიზმის დაცემის შემდეგ“.

კომისიამ მომანლო მე ვიპასუხოთ შემდეგი:

1. კომისია სთვლის, რომ მისი ჩამოყალიბების დღიდან ცალკე „პარიზელი ბლოკი“ აღარ არსებობს, არამედ არსებობს მხოლოდ კომისია, რომელიც შესდგება, როგორც ამ „ბლოკის“ ისე საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენლებიდან.

2. ამ თავისი შემადგენლობით, კომისია ორჯ კვირის განმავლობაში ყოველშვიდად იხილავდა თქვენ მიერ დასმულ კითხვებს და მთელი რიგით საკომპრომისო ფორმულების განხილვის შემდეგ, ამომწურავი პასუხი ვასცა მათ თავის წესდების პროექტში, რომელიც ერთხმად და მთლიანად მიიღო მან თავის სუკანასკნელ სხდომაზე 19 ივნისს 1953 წ.

3. ამ პროექტში ვაცემული პასუხი, განსაკუთრებით თქვენთვის საინტერესო კითხვაზე დღევანდელ საბჭოთა კავშირის ხალხთა ბედის შე-

სახებ ბოლშევიზმის დაცემის შემდეგ, არა თუ არა ეწინააღმდეგება ამერიკული კომიტეტის გადასახებ, არამედ სახსებთ შეთანხმება მას, რასაც ადასტურებს კომისიის თავმჯდომარის ბ-ნ ედგეგეტორის 15 ივნისის ტელეგრაფზე მიღებული ამერიკული კომიტეტის თავმჯდომარის აღმირალ სტივენსის პასუხი 17 ივნისის თარიღით სადაც ვკითხულობთ:

„მე იმედი მაქვს, რომ კომისიის მონაწილენი მსჯელობის დროს მხედველობიდან არ გააუფგებენ იმას, რომ ამერიკულმა კომიტეტმა მიიღო ვალდებულება დარჩეს „წინასწარ გადაუტრელობის“ პრინციპის ერთგული, საბჭოთა კავშირის ხალხთა უფლების დაცვით, თვით გადასწყვიტონ თავისი ბედი“.

კომისიის სწორედ ასე ესმოდა ეს საკითხი და ამ აზრით გამოხატა ის თავის პროექტში; ის არსდერს არი სწყვეტს წინასწარ და უტოვებს საბჭოთა კავშირის ხალხებს თავის უფლებას თვით განავონ თავისი ბედი, რის რეალური შესაძლებლობა დადგება, თავის-თავად ცხადია, მხოლოდ ბოლშევიზმის დაცემის შემდეგ.

მიიღეთ ჩემი სრული პატივისცემის რწმუნება

კომისიის კერძო თათბირის თავმჯდომარე გ. ნავარსარდიანი.

20 ივნისი 1953 წ.

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ამერიკული კომიტეტის რწმუნებულებს ბ.ბ. კელლის და კუნზოლმს

ვაცნობთ რა ქვემოთ მოსაზრებებს, ჩემი მიზანია ვა ვ ი ვ ი ა რ ი თ ბ ო რ ა დ ი შეხედულებები მიმდინარე მოლაპარაკებებზე ანტიბოლშევიკური ბრძოლის საერთაშორისო საკოორდინაციო ცენტრის დარსების გარშემო დარწმუნებული ვარ, ამასთანავე, რომ ამ შეხედულებებს იზიარებს მრავალი მონაწილე ამ შეხედულებისა, რაც ვამოიოკვა, როგორც შემთანხმებელ კომისიის სხდომებზე, ისე კერძო აზრთა ვაცვლა-გამოცემის დროს.

1. ჩვენი ამოცანა, ტოტალიტარულ საბჭოთა დიქტატურის წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ომის საწარმოებლად, მებრძოლი აპარატის შექმნა ყველა მოქმედი ძალების მონაწილეობით. ემიგრაციის ყველა ანტიბოლშევიკური და დემო-



კრასტიული ძალების **მობილიზაცია** და **ორგანიზაცია**, ბოლშევიკურ დიქტატურის დასაშობად, წარმოადგენს ჩვენს მიერ დასახულ მიზნის მისაღწევად აუცილებელ პირობას და პირველ პრაქტიკულ ამოცანას მომავალი ცენტრისათვის; ის ჰფარავს და შეიცავს სხვა დანარჩენებს.

2. აპარატის მებრძოლი ხანაათი აუცილებლად მოითხოვს ცენტრის მოქმედებიდან ისეთი ელემენტების გამოორიცილებას, რომელსაც შეეძლება მისი მუშაობის შეფერხება, ე. ი. მონაწილეთ ხელი უნდა იდგინოს ცენტრის იდეოლოგიურ-პოლიტიკურ დისკუსიის და ურთი-ერთ შორის ბრძოლის ასპარეზად გამოყენებაზე. ამ სახის პრინციპიალურ საკითხებზე დავა დაყვანილ უნდა იქნას მინიმუმამდე.

3. ორგანიზაციის წინააღმდეგობა — და ამაში შეთანხმებული არიან კომისიის ყველა მონაწილენი — შეთანხმების დოკუმენტო, როგორც ცენტრის მუშაობის საფუძველი, უნდა შეიცავდეს სამ ელემენტს: პლათფორმას, ორგანიზაციის და ტაქტიკას.

4. პლათფორმა უნდა იყოს ნათელი, მარტივი და მისაღები ცენტრის ყველა მონაწილეთათვის, რადგან ის უნდა ითვალისწინებდეს უწინარეს ყოვლისა ემიგრაციაში ორი ძირითადი „სექტორის“ არსებობას — რუსულის და არა რუსულის. აქ კი ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ბოლშევიზმის საწინააღმდეგო ბრძოლის საკითხი რუსულ ემიგრაციაში გაცილებით მეტად ირთულია, ვიდრე არა რუსულში. მაშინ, როდესაც ბოლშევიზმის დამსობის საქმე თვითველ ეროვნულ ემიგრაციის ვაგებაში მთლიანად იფარება თავისი ხალხის იანთავისუფლებით, — რუსული ემიგრაციისათვის ის, ფსიქოლოგიური განუყრელობით, დაკავშირებულია ძველი რუსეთის თუ დღევანდელი საბჭოთა იმპერიის მთლიანობის, ამა თუ იმ სახით, შენახვის მიდრეკილებასთან. რუს ემიგრანტს ეძინება ვაგება და შეჩვიება იმ ფაქტის, რომ ბოლშევიზმის დაკვამს **აუცილებლად** მოჰყვება ტოტალური ტარული დიქტატურის არა მხოლოდ სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური სისტემის სრული რღვევა, არამედ აგრეთვე, რღვევა თვით ამ იმპერიის სხეულისა, რომლის საგარეო ძლიერება ასე იზიდავს მას.

5. აღნიშნულ განსხვავებას რუსული და ნაციონალურ სექტორთა ემიგრაციის განწყობილებაში, მიყვარათ იმ ფაქტში, რომ რუსული ანტიბოლშევიკური ემიგრაციის, თანმიმდევრულ

დემოკრატიულსაც კი, გაცილებით მეტად ეძინება საერთო ბრძოლისათვის ლონისძიებათა გამოწახვა, ვიდრე არა რუსული ემიგრაციის წარმოადგენლებს. სწორედ ეს გარემოება უნდა იქნას მხედველობაში მიღებული არა რუსულ ემიგრაციის წარმომადგენელთა მიერ; ისინი განსაკუთრებით სათუთად უნდა მოეპყრან რუს ემიგრაციის ამ სპეციფიურ მდგომარეობას, თუ ისინი ნამდვილად ფიქრობენ, რომ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელია ამ ემიგრაციის დემოკრატიულ სექტორის გვერდში ამოყენება. ეს აუცილებლობა კი, ჩემის ღრმად რწმენით და, ვფიქრობ ამ რწმენას იზიარებს მოლაპარაკების ყველა მონაწილე, **იმერატიული** ხასიათის მატარებელია ეროვნულ ემიგრაციისათვის, რადგან მებრძოლი აპარატის მხოლოდ არა რუსული ემიგრაციის ძალებით განსაზღვრის ყოველგვარი ცდა, აუცილებლად გამოიწვევს თვით ბრძოლის დაძაბულობის დასუსტებას; შექმნის წინააღმდეგობას რუსულ სექტორიდან და მისცემს ბრძოლას მისთვის უცხო ხასიათს — „ეროვნული ბლოკის“ რუს ხალხის წინააღმდეგ გალაშქრებისა.

6. არანაკლებ უდათა ის დებულებაც, რომ რუსული ემიგრაციის, იმ მოულოდნელ შემთხვევაშიც კი, რომ მისი საყოველთაო გაერთიანება მოხდეს, ვერ შესძლებს წარმატებით ბრძოლის წარმოებას კრემლის დიქტატურის წინააღმდეგ დამოუკიდებლად და ეროვნული ემიგრაციის განმათავისუფლებელ მოძრაობათა უფლებებელყოფით. საერთაშორისო მდგომარეობა და თვით საბჭოთა კავშირის ყოფა ორივე სექტორს დაბეჯითებით უკარნახებს შეთანხმების გზებს, ურთი-ერთ დათმობის საფუძველზე და „ეროვნული“ სექტორის წინაშე სდგას საკითხი: **რა კომპრომისი შეუძლია მან ვაკეთოს, სრულიად შეგნებულად, საქმის სასარგებლოდ?**

7. რუსული სულისკვეთებას აუცილებლად უნდა მიეცეს მაქსიმალური დაკმაყოფილება, მაგრამ არა იმ საფასურით, რაც უმანვილესი იარაღია ნაციონალური ბანაკისათვის საერთო მტრის წინააღმდეგ და რაც ფორმალურად ცნობილია თვით საბჭოთა კონსტიტუციის მიერ, ე. ი. ცნობა საბჭოთა კავშირის ყველა ერთათვის ამოუკიდებელი არსებობის უფლებისა. შეუძლებელია მომავალ ბრძოლაში ურთი-ერთის განიარაღება: არა რუს ხალხებს არ შეუძლიათ იქონიონ პრეტენზია რუსთა მოქცევისა დაწინააღმდეგობის მომხრეებათ; მაგრამ არც ისინი უნდა

ითხოვდნენ ჩვენი ხალხებიდან უარი სთქვან თავიანთ დამოუკიდებლობაზე.

8. დამოუკიდებლობის უფლების „ღიად დატოვების“ (непредрешенчество) ცნება არა უნდა იქნას გაგებულად, როგორც ხალხის დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვის უარყოფა, ლტოლვის, რომელიც ემყარება მათ უფლებას თავისუფლად გადასწყვიტონ თავიანთი ბედი; ეს უფლება დავას არ იწვევს რუსულ დემოკრატიულ ემიგრაციის წრეებში. დაბრკოლების მთელი სიძნელე მდგომარეობს ორივე მხარისათვის მისაღები შესატყვისი ფორმულის გამონახვაში.

9. საერთოდ საბჭოთა კავშირის ხალხების და მათან ერთად, ეროვნული თავისუფლების გზა ბოლშევიზმის დაცემის გასწვრივ მდებარეობს და რუსული სექტორიც საესებით იმ აზრისაა, რომ **ეროვნული უფლების განადგება შესაძლებელი გახდება მხოლოდ კომუნისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ.**

10. რუსული სექტორის ზოგი წარმომადგენლები, სჩანს, სათანადოთ ვერ აფასებენ იმ პერსპექტივას, რაიც ეხსნება ანტიბოლშევიკური ბრძოლის საქმეს ცენტრში მონაწილე მთელი რიგი ორგანიზაციისათა ღონისძიების კოორდინაციით; თვითთველ მათგანს შეეძლება თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში; გამოიყენოს ამ მიზნით ყველა თავისი კავშირები დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნების სხვა და სხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებთან, განათვისუფლების საქმეში მათი თანაგრძობის და თანამშრომლობის მოპოვებით, **ცენტრის** ავტორიტეტის ამადლებით და პარტიისორთა ავტონომიური ბრძოლის გადაღობების ახალ საშუალებათა აღმოჩენით.

11. ამრიგად, ერთა საერთო ცენტრი, თუ მას დაარსება და ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში თავისი ამოცანების შესრულება უწყრია, შეიძენს ისეთ ავტორიტეტს დღევანდელ საბჭოთა კავშირის ხალხების თვალში, რომ მას საშუალება ექნება საპასუხისმგებლო როლის შესრულებისა ტოტალიტარული რეჟიმის დაცვით გამოწვეული აუცილებელი სარედაქციის ატმოსფეროში წამოჭრილ ნაციონალურ თუ სხვა კონფლიქტების მოგვარებაში. მასში წარმოდგენილი ორგანიზაციების შეთანხმებული ღონისძიებით, ის შესძლებს თვითნება აქტების აღკვეთას და ხელს შეუშლის საერთო არეულობის დროს, აღმოდებულ სახლში შექ-

რილ ხალხს, ყველაფერი გაიტაცონ იმის ნაცვლად, რომ საერთო ძალით ხანძარს ბოლო მოუღონ. უცხოეთში საერთო შეთანხმებულ მოქმედებას შეჩვეული ორგანიზაციები — დარწმუნებულნი, რომ ცალკე ხალხთა განუსაზღვრელი სახელმწიფო სუვერენობის ეპოქა ისტორიას ჩაბარდა და რომ სასაცილოა ფიქრის ექრთი ხალხის უფლებებზე, თავისი ნებისყოფის ცალმხრივი აქტების მეოხებით გადასჭრას სხვებისაგან გამიჯვნის და მათთან ურთი-ერთობის საკითხები — შესძლებენ ზღვარი დაუდონ ასეთ ცდებს.

12. ამასთანავე, ისარგებლებს რა უცხოეთში შედენილი გამოცდილებით და თავისფუალ ქვეყნებში გაჩენილი სხვა და სხვა კავშირებით, ცენტრი მოახერხებს წინასწარ ააწყოს და მოამზადოს საერთაშორისო დახმარება დღევანდელ საბჭოთა კავშირის ტერორიზმზე რეჟიმის დაცემით გამოწვეული აუცილებელი სასურსათო და სხვა სამეურნეო და სოციალური სიძნელებების შესარბილებლად.

13. ხეშოაღნიშნულ ამოცანათა წარმატებით განადგება მოითხოვს, ცენტრში მონაწილე დაჯგუფებათა ორბიტში დემოკრატიული ემიგრაციის აქტივის ფართოდ შემოყვანას პროპაგანდის და ორგანიზაციული ზომების გზით და მის, ერთა შორის თანამშრომლობის მომქმედ მომხრეებათ გადაქცევას ემიგრაციის საერთო ბრძოლაში.

14. ცენტრის სტრუქტურა უნდა აეგოს შეთანხმების და თანამშრომლობის პრინციპზე ჟმინ-შენელოვანეს საკითხებში, მონაწილეთა თანასწორუფლებიანობაზე, ურთი-ერთ ნდობაზე და პარტიისორის შეხედულებათა პატივისცემაზე, მეტოქეობის და დომინაციის პრეტენზიების გამორიცხვით. მონაწილეთა სოლიდარობას საგარეო გამოსვლებში უნდა აესებდეს საერთოდ გამომუშავებული ტაქტიკის და კონკრეტული სამეზო იცემის ნიდაგზე დამყარებული თანამშრომლობა ცენტრის მიგნით.

ეს მოსაზრებები, რომლებიც, ცხადია, ვერ ამოსწურავს ცენტრის წინაშე მდგომ პრობლემებს—ჩემის წარმოდგენით—არაფრით არ განსხვავდება იმ პრინციპებისგან, რომელიც ამერიკულ კომიტეტმა თავის თანამშრომლობის პირობათ წაუყენა რუს და არა რუს ემიგრაციას, ერთიანი საკოორდინაციო ორგანოს დაარსების მიზნით. ამრიგად, იხიარებენ რა კომიტეტის პოზიციას თავის ძირითად ხაზებში და სურთ რა, დარწმუნდნენ ამერიკული დემოკრატიის სასარგებლო



მოკავშირეთ, ქრონოვული ორგანიზაციები მზად არიან სრულ თანამშრომლობაზე. თქვენ თვით ნახეთ და დარწმუნდით, რომ ვგეგვში, რომელსაც „პარიზელი“ ეწოდება, წარმოდგენილია ყველა ელემენტი, რომელიც ემიგრაციის „ნაციონალურ“ სექტორში ყველაზე ავტორიტეტული და მომქმედია. ამავდროს, თქვენ შეამოწმეთ, რომ ზოგ ნაციონალურ სექციის განწყობილებაში, ათეული წლების განმავლობაში და დღევანდლამდე, რომ შეუფერებელ პოზიციაზე იდგა, მოხდა დიდმნიშვნელოვანი გარდატეხა რუსულ ემიგრაციასთან თანამშრომლობის მიმართულებით.

გამომუშავებულია პლატფორმა, რომელიც დაცხადვანან ნაციონალური სექციები და რუსული სექტორის ნაწილები. ეს უკვე — დიდი ძალაა.

აუცილებელია დაუყონებლივ შევუდგეთ აქტიურ მუშაობას და არ ვუცადოთ თუ სიძლიან დაადგებიან შეთანხმების გზას ვარკეთ დაიჩინილი რუსული ორგანიზაციები. მხოლოდ ინციპტავას, ცოცხალ საქმეს, მუშაობის პროცესს და მისი ნაყოფიერების პირველ ნიშნებს შეუძლიან გახედენ დამარწმუნებელ არგუმენტათ. ეს და მხოლოდ ეს აიძულებს საბოლოოდ, წრის გარეშე დაიჩინილი ემიგრანტულ ჯგუფებს ხელი აიღონ წერილმან თამაშზე, ოინებზე და ინტრიგებზე და დაადგენ საერთო თანამშრომლობის და შეთანხმების გზას.

ღრმა პატივისცემით
გვ. გეგეჭკორი

30 ივნისი 1953 წ.
 ქ. მიუნხენი.

„პარიზის ბლოკის“ მემორანდუმის გარშემო

„პარიზის ბლოკის“ მემორანდუმი რაღაც აკრიზატული საშუალებით „ხელში ჩაუვარდა“ ბ-ნ მელკუნოვს, რომელმაც არც აცნობა, არც აცხელა და თითქოს, რაღაც ანტირუსული ჯვაროსნობის სამხილებლად, პარიზის რუსულ გაზეთ „რუსკაია მისლი“ გამოაქვეყნა. ამ უკანასკნელმა ეს დოკუმენტი დაბეჭდა 29 ივლისს, დიდი სათაურით „სიძულვილის მემორიალი“. კიდევ მეტი. ცალკე აბზაცები დასათურებულნი იყო შემდეგ ნაირად: „რუსეთის და არა ბოლშევიზმის წინააღმდეგ“, „ცილისწამება რუსის ხალხზე“ და სხ. და სხ. ამ ოპერაციის მიზანი იყო აშკარა: „რუსკაია მისლის“ რედაქცია ფი-

ქრობდა მყვირალს ანშლაგებით დოკუმენტის ღირება დაემცირებია და საკუთარი დიდმკობელური შოვინიზმის ტენდენცია თავისუფლებიასათვის მებრძოლ ერებზე გადაეტანა.

რუსული შოვინიზმის ასეთ არალოიალურ დემონსტრაციას ღირსეული და ვრცელი პასუხი ევასცა ბ-ნ ევ. გეგეჭკორმა სათაურით: „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელიც დაბეჭდა იმავე გაზეთში 16 სექტემბერს № 589. თავის პასუხში ბ-ნი ევ. გეგეჭკორი რედაქციის საქციელს უკავშირებს ბოლშევიკურ პრაქტიკას, ამორალურს და სრულიად მიუღებელს თავისუფალი პრესისათვის. ასაბუთებს რა ჩაგრულ ერთა კანონიერ მისწრაფებას ქრონოვული თავისუფლებისაკენ და მათ შეუფერებლობას ყოველგვარი იმპერიალიზმის მიმართ, რაც ყველაზე მჭიდროდ იარალია ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებისათვის, ავტორი გაზეთის პოზიციას უწოდებს პურიშკევიჩის და მარკოვი ნეორეს სახის შავრახმული შოვინიზმისაკენ აშკარა დაბრუნებას“, რაც რიცხავს საერთო ანტიბოლშევიკური ფრონტის გამართვის შესაძლებლობას. დატყვევებულ ერთა განმათავისუფლებელ ბრძოლას არაფერი აქვს საერთო რუსის ხალხის წინააღმდეგ ჯვაროსნობასთან და შეუფერებელი შოვინიზმის და დიდმკობელური იმპერიალიზმის მოციქულია რუსული ემიგრაციის ის ფენები, რომლებიც ამ ორ მოვლენას შორის იკვივების ხაზებს აცლებს. ეს გარემოება, რომ ხსენებულ ფენებს ხელს უშლის ნახდვილი ანტიბოლშევიკური ფრონტში მოთაფებას, დიდი რუსეთის დანაწილების შიშით.

ამ დასაბუთებულ პასუხის პასუხს „რუსკაია მისლი“ მონადომა ორი წერილი: ერთი მოწინავე (30 სექტემბერი № 593) და მეორე ბ-ნ ზელერის „ფიქსები“ (7 ოქტომბერი № 595). ბევრს ევრაფერს ეიტყვით მეორეზე, რადგან იგი მეტად ლაჩიბია, მოკლებული ყოველგვარ დასაბუთებას და საესე რაღაც ქვე-აზრებით და მრისვალწერტილებით; ხოლო პირველის ავტორმა ბ-ნმა ვოდოევმა აშკარა გამართლება მისცა ბ-ნ ევ. გეგეჭკორის დახასიათებას რუსული არა დემოკრატული ემიგრაციის ჩამორჩინელობის და დიდმკობელური განწყობილებისა. ის სწერს: „რუსული ემიგრაციის ნაყოფიერი თანამშრომლობა რუსეთის დაყოფის ნომრებთან შეუძლებელია“-ო.

მთელი ამ ბაასის შედეგი ის არის, რომ სხვაგადობრივი აზრის წინაშე ნათლად გაიშალა ორი: გარკვეული პოზიცია: დაპყრობილ ერთს



ლია წერილი X-ს

(დასასრული *)

ახლა ორიოდუე სიტყვა ჯულაშვილის პიროვნებაზე. სამი ათეული წლის გასწვრივ ითვლებოდა იგი საბჭოეთის „მამა ღმერთად“, „ყოველის მკლანდე“ და „ყველგან მყოფ ზეარსებად“, „მცნოელებსი კორიფედ“... და, უსმრავი ასეთი დამაკნინებელი და ზიზღის მომგვრელი ეპიტეტში ამშვენებდა ამ სულმოკლე, გასდიდების ავადყოფობით დამბლა-დაცემულ არსებას. მაგრამ ერთხელ თუ მაინც შეეცითხე თავს: როგორი მობდა, რომ რუსეთის ტახტზე წამოსკუბებამდე, ქართველმა ერმა, არა თუ მისი ავტორიტეტი არ იცნო, არამედ მისი ფიზიკური არსებობაც არ იცოდა? რა იყო მიზეზი, რომ ძველი რევოლიუციონერების თავისუფალ სახელმწიფოს სათავეში მოექცნენ და ერის ღელაო ზელმძღვანელები გახდნენ მამინ, როცა ჯულაშვილის ხსენებაც არაად ისმოდა? ამ რებუსის გახსნა, იცოდე, ბევრი რამეს ხსნის და არკვევს. ვიწრო რევოლიუციონერ წრეებში იგი ცნობილი იყო როგორც უკულტურო, მეტად განსაზღვრული გაქანების ადამიანი; არაპირდაპირი, არალოიალური, ღვარძლიანი, უზნეო და დამპალო ამბიციის პატრონი. არავითარი ზომებს არ ზოგავდა იგი კონკურენტების გასანადგურებლად. ბაჭოში, ობრანკის აგენტები თავს დაესხნენ სტუპკოს (ვანო ინჭირველი, მამინ ჯულაშვილის ანხანავი) ფარულ ბინას და საშინლად მოპლეს. ამ ღალატს შაუმისანი ჯულაშვილს ახრალებდა.

* იხ. დასაწყისი „ნებ. საქ.“ № 15.

შეურიგებელი ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ყველა ხალხთა გასანთავისუფლებლად (რუსი ერის ჩათვლით) და რუსული იმპერიალისტური იმიგრაციის ცხოველური შიში დიდი რუსეთის დანაწილების პერსპექტივის გამო. ამით კიდევ ერთხელ მართლდება ის დებულება, რომ ამ იმიგრაციის ძველი დაავიწყდა და ახალი არაფერი შეუძენია. ამ დახვედრულ გაგებასთან, ჩვენ ვფიქრობთ, თვით რუსის ხალხს არაფერი აქვს საერთო და მისი პროგრესული დემოკრატიული იმიგრაცია შესძლებს წელში გამართვას საერთო და საერთაშორისო სამართლიანობის გასამარჯვებლად. ამის ნიშნები მოგვცა მიუნხენის მოლაპარაკებების შედეგმა, რასაც მკითხველი ამ ნომერში გაეცნობა.

რედ.

ის არ იყო ობრანკის მუღდმივი აგენტი, მაგრამ მისი სამსახურს მიმართავდა, როცა მისი კრიმინალური პატივმოყვარეობა საფრთხეში იყო. აბა, რა პოპულიზრებას მოიპოვებდა ჩვენში გარყვნილების და სიმდაბლის ასეთი განსახიერება? ის, ქართველმა ხალხმა, გარკვეა და თავის საზოდან ამოავდო. ეს გარეცხობა მას სიკვდილამდე არ უპატიების ქართველი ერისათვის. ბრმა ძალით დაიბყრო და გაანადგურა მან მშობელი ერი. რუსულ ჩექმებით გასთელა მისი სინდისი და ყოველივე წმინდათა წმინდა. მან ერთხელ კიდევაც სთქვა: ბოლშევიკები უდიდეს საისტორიო საქმეს აკეთებენ, რომელსაც ისეთი პატარა ერი, როგორც ქართველები, შეიძლება კიდევაც შეეწიროს. -ო. აი, რა დემონი, რა ინკვიზიტორი იჯდა შენს მიწიერი ღვთაებაში! ქართველი ხალხი გულში ატარებს მისი წყეტული სახელის ეპიტაფიას: აქაც დიდი ნების იყო, იქ ძაღლები მიაკვდება.

საერთოდ გავრცელებული აზრის მიხედვით „ხალხთა მამა“ თითქოს მსკვიველის ერთგული მოწაფე იყო. ცინიკ რეფორმატორის მოძღვრებიდან მან, შეცვლია, ბევრი რამ ისწავლა, მაგრამ ისწავლა მხოლოდ ის, რაც მართა-გამგეობას დესპოტიურს და აუტანელს ხდის. მართალია, მსკვიველი, ხელისუფლების ერთ-ერთ მეთოდთა სასტიკ ღონისძიებებს აღიარებს, მაგრამ ტერორი და ბოროტება მას მმართველობის მუღდმივ სისტემად არ გამოიქცხადებია. აი, რას ამბობს იგი: „სახელმწიფოს დაპატრონებისთანავე, უზურპატორი, კარგად უნდა დაფიქრდეს საუკუნეველ სასტიკ ღონისძიებებზე და გაატაროს ისინი ერთის დაკვირვით, რომ ყოველდღე არ დაჭირდეს მათი განმეორება, რათა დაწყნაროს და მოიმზროს ხალხი თავისი კეთილგონიერებით. ვინც იქცევა სხვანაირად, შიშის თუ ცუდი რჩევების გავლენით, ის იძულებულია მუღდმადანა ეტიროს ხელში; ის ვერასდროს ვერ დაეყრდნობა ქვეშევრდომთ და ეს უკანასკნელი კომუღდმივი და ახალ-ახალი რბენის გამო, ვერასდროს თავს შმვიდათ ვერა იგობობენ“-ო. ოთხი საუკუნის წინ იცოდა ამ რეფორმატორმა თუ რა ჯოჯოხეთის ცეცხლის დანთქა შეეძლო ხელისუფლების უღირს და უვიც უზურპატორს. და, ვიმეორებ, ეს გაუგონარი უზურპაცია შესძლო მან რუსეთში იმ დროს, როცა თავის ერში სრულ არასახობას წარმოადგენდა. მონტესკიო ამტკი-



ცეხს, რომ ტირანისის ვაზატონებას არასეთიარნი ღირსება არი საქირდეა. იგი ამბობს: დესპოტიკური ძალმომრეობის ხელისუფლება ერთნაირია ყველგან, რადგან მის დასამყარებლად მხოლოდ ვნებები კმარა, ამიტომ მისთვის ყველა გამოდგება - ო. და ის გამოდგა რუსეთში. თვით ეს ფაქტი, განა საკმომი სიცხადით არ აჩვენებს თუ რა უფსკრული ამოიღებს ქართულ და რუსულ ბუნებას ერთმანეთისაგან?

ცნადია, ამ გარემოების აღნიშვნით, სრულიად არა ვფიქრობ დავამცირო ან ვაეჭირდო რუსის ხალხი. მას თავისი ღირსებები აქვს; მას აქვს თავისი ეროვნული უფლება იქონიოს და განავითაროს მსოფლიო ისეთი ხედვა, შეიმუშავოს და დაადგინოს თავისი ცხოვრების ისეთი წესები, რომლებიც მას საუკეთესოდ მიაჩნია. ესთქვათ, ის რაც ჩვენ ნაკლად გვეჩვენება, მისი განსაკუთრებული ცხოვრების პირობებში ღირსებას წარმოადგენს, და მის ბედნიერებას ემსახურება, მაგრამ ღმერთმა მას მოახმარა. ქართველ ხალხს ეს არი აწყობს და არ ეგუება, არც ისტორიულად, არც ფსიქოლოგიურად და არც ზნეობრივად. მაშასადამე, აქ არსებობს გარდაუვალი კონფლიქტი ორ შემეცნებას შორის და მაგარი ისაა, რომ ბატარა ერთ შეიძლება ამ კონფლიქტს კიდევაც გადაწყვეს. ერის ცხოვრებას მის მიერ შემუშავებული და დაგროვილი მორალური საუნჯე ამშვენებს და ქართველმა ხალხმა, ექვს გარემოს, მიტომ მოაღწია დღევანდლად, რომ შექმნა მისი მარადისობის უზრუნველყოფის შესატყვისი ტრადიციები. ეს მისი სიმდიდრეა. მისი განუყოფელი „მე“, რომელზედაც ხელის აღება თავის-თავის უარყოფას უდრის.

მაგრამ საკითხავია, ამ ორ ერის ორგანიულ დაკავშირებას ხომ არი მოითხოვა მათი საარსებო ინტერესი, ეკონომიური საუკილებლობა? ცნობილია, რომ საქართველოს მიწა-წყალზე ბუნებას თავისი უხვი კალთები დაუბრტყია. მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ თავისუფალ ერთა კოლექტივის ღირსეული წევრი გახდეს. თუ არი რუსული ოკუპაცია იგი დღეს მართლაც ბედნიერი და თითოთი საჩვენებელი ოაზისი იქნებოდა ევროპა-აზიას მიჯნაზე გადაშლილი. კომუნისმის და სამართლიანობის სახელით მოსპო და განადგურა მოსკომა მისი მშვიდობიანი და თავისუფალი თვითმოქმედება. წითელ ქურქში გახვეული, დრომოჭმული იმპერიალიზმი ურცხვად კბაძავს წარსული საუკუნის ექსპანსიური ციებ-ცხელების უარყო-

ფით მაგალითებს. სოციალიზმს და მუშათა ემსახურების საქმეს, ბოლშევიზმის სახით გაუჩნდა უსაშინელოესი მტერი, რომელმაც სახელი გაუტეხა და გააყალბა წარსული საუკუნის ეს უმალესი ჰუმანიური გაქანება. ამრიგად, მას ეწვია ყველა დიდ მოძრაობათა ბედი ისტორიაში. ელინიზმი შეილახა ზნეობრივი გარყვნა-დაცემით, ქრისტიანობა — ინკვიზიციით, მაგრამ ეს ძარღვიანი იდეები მაინც გამარჯვებული და განბანილი ამოტივტივდნენ ამ ლაფიდან და დაუფასებელი სამსახური გაუწიეს კაცობრიობას. ჰუმანიური სოციალიზმიც მალე მოირეკნს იმ სიბინძურეს, რომელიც ასე დაუმსახურებლად მიაკრა მას ლენინ-ჯულაშვილის სატანურმა ბოროტებამ და განაგრძობს თავისი ცხოველყოფელი სხივებით თავისუფალი კაცობრიობის გზის განათებას.

დაუშვათ, რომ დღევანდლად, გულწრფელად გწამდა, რომ კეთილ საქმეს ემსახურებოდი, მაგრამ ჯულაშვილის გაჭიობამ ხომ ბევრი რამ გამოაშკარავა! „მამის“ სიკვდილის შემდეგ აღმოაჩინეთ, რომ საბჭოთა სასამართლო უღირს ზომებს მიმართავდა დამნაშავეთა საშვილებლად. სინამდვილის წინაშე რომ მართალი დაჩრეთ ეს ძიება უნდა გააღრმავოთ. შუა-გზაზე გარეება შეუძლებელია. მამინ აღმოაჩენთ, რომ 95 პროცენტო დახოცილების, კონცხანაკების მონების, პატიმრების და დევნილების ე. ი. ათეული მილიონები აღვირახსნილი ჩეკისტების სადისტობის უდანაშაულო მსხვერპლნი არიან. შენ თვითონ გამოციდილი ჩეკისტი ხარ და „გამოტეხის“ სისტემის გამომუშავებაში დიდი დამსახურება მიგიძღვის, მაგრამ ორი მაგალითს მაინც მოგაგონებ: გამოჩენილ რევოლიუციონერს და მოღვაწეს ილარიონ გიორგაძეს დაკითხვაზე სამართლებელი დანით წვივები დაუსჯერეს და ჭრლობებზე ადულტბული მარილი-წყალი დაასხეს. წარმოდგენილი გაქვს რა განცხრომის საათებს ვაატარებდა იგი! ქოლას ლომთათიძის შვილი, მოსკოვის ციხეში, გაუგონარი ხერხებით აწამეს, რომ რაღაც საშინელებაზე ხელი მოეწერა. ეს ვაყვაცი თავის ამხანაგებს უსაყვედურებდა არი ყოფილ სისულელეებზე ხელის მოწერას და ამბობდა: რა უნდა მიყონ ისეთი, რომ იძულებით ხელი მომწერიონ - ო. ჩეკის სამითხის რვა ოპერაცია ვადაიტანა. ყოველი ასეთი დაკითხვიდან სულ უფრო და უფრო დასახიჩრებული ბრუნდებოდა, მაგრამ სულით არი ტყდებოდა, თავი მაღლა ეჭირა. მეცხრე ოპერაციიდან იგი თავიანტინდრული დაბრუნდა და განაცხადა: უკანასკნელ საზიზრო-

ებას ველარს გავუძღვიო; ნახველი - ნაფურთხით სა-
 ვსუ ფინჯანში ცხვირ-პირი მიიჭრეს და ვამხე-
 ცებულნი, მეფისტოფელოს ხმით მიიყვიროდნენ—
 ჩახტეჲ თუ არ ვამოტყდები - ო. შენ ხომ ჩემ-
 ზე კარგად იცნობ ამ ფაუგონარსი სიმხეცის ნი-
 მუშებსა, რაიც საბჭოური კვლევა - ძიების სის-
 ტემად ჩამოყალიბდა დიდი ხანია.

საბჭოთა სისტემამ შექმნა ისეთი პირობები,
 სადაც კეთილ-სინდისიერად თავის ვაჭანაც შე-
 უძღვებელია. მან გაამეფა უზუნობა, რამაც ად-
 ამიანი თავის ბუნებრივ ჩარჩოებიდან ამოაგდო
 და ნორმალური ცხოვრება მოანატრია. რადგან
 არსებული ეშმაკეულია და მიუღებელი ეს სის-
 ტემა, ცდილობს შექმნას ახალი, საბჭოთა ადამი-
 ანი, რომელიც ნიცუმეს ზეკაცის საზიზღარ კა-
 რიკატორათ უნდა მოგვევლინოს. მისთვის ყო-
 ველი საშუალება მისაღება ყოველგვარი მიზ-
 ნის მისაღწევად. ხოლო, ასეთ ატმოსფეროში
 მიზანი იფიტება ყოველ კეთილშობილურ და
 იდეალისტურ შინაარსისაგან, ადამიანი უბრუნ-
 დება პრიმიტივობას.

რას მოუვიდა თქვენს ხელში საქართველოს სუ-
 ლიერ საუნჯეებს? მათ გაუძღვეს მრავალ ისტო-
 რიულ ქართველებს და ქრო დღევანდლამდე
 მოაცილეს. ისინი დღესაც გაუძღვებენ დაუზო-
 გველ შეტევებს, მაგრამ ეს არ არბილებს დანა-
 შაულს. ბოლშევიზმი იმთავითვე დაეტაკა ქარ-
 თული სულის ბურჯს — ოჯახს, ამ ხელუხლე-
 ბელ ქროვნულ უჯრედს, წყაროს მისი უკვდა-
 ვებისა, კომსომოლის ოდიოზური ბოდვა:

„დღედა დღეაზრობ, მამას დავიჭერ
 თუ დამავალბს რევოლიუცია“

საბჭოთა პოეზიის სამაგალითო ნიმუშადაა გა-
 მოცხადებული. და რა რევოლიუციაა ის, რომ-
 ელიც შეიღოს ასეთ სისაძაგლეებს ავალბეს!
 იცი თუ არა, რომ ნორმალურ პირობებში, ჩვე-
 ნი საზოგადოება მყისვე ამოაგდებდა თავისი
 წრიდან ასეთი ბოდვის ავტორს? ოჯახის შევი-
 ნება, დედ-მამის კულტის უგულვებულყოფა
 კანონითაც ისჯებოდა, ხოლო დღეს კანონი აი-
 ძულეს საბჭოელ ადამიანს სინდის - ნამუსზე
 აიღოს ხელი.

თუ ოდესმე ქართული „კომუნისტი“ ხელთ ჩა-
 გივარდეს, ვადახედე და დარწმუნდები თქვენი
 სამოთხის სიტკბოებაში. იქ, ამოიკითხავ ჩივილს
 „მავნებლობის“ და ხაზიდან გადასვლის“ მასსი-
 ურ ხასიათის შესახებ ყოველ კუთხიდან, მეტო-
 ნობის ყველა დარგიდან, სასწავლებლებიდან,
 სამეცნიერო დაწესებულებიდან. დამაფიქრებე-
 ლი სურათი ყველგან და ყველაფერში. რასაკვი-

რილია, ცნება „მავნებლობა“ თქვენს ლექსთა
 ნში თავისებური შინაარსისაა. მის მახვერპლია
 დიდი უმრავლესობა სრულიად უდანაშაულო
 ხალხია, მაგრამ მანვე გადავდომო ირთი წუთით
 ეს მოსაზრება და შევეცადოთ ამ ბოვლინის ახ-
 სნა. ან ეს „მავნებელი“ ბუნებით ბოროტ-მომქ-
 მედნი არიან, რაც ნაწილობრივ შესაძლებელია,
 რადგან ბოლშევიზმის დასაყრდენი მუდამ იყო
 და დარჩება ეს ულემენტი (რასაც, სხვათა შორის,
 ოფიციალურად ადასტურებს ყველა თქვენი ამ-
 ნისტიის ხასიათი და შინაარსი); ან და ბოლშე-
 ვიკური მორალის წყალობით ასეთია მათი სო-
 ციალური ფუნქციის ვაგება და მასზე წარმო-
 დგენა; ან კიდევ, მთელი ხალხი რეჟიმის მტე-
 რია და იღწვის მის დასამხობად. სხვა შესაძ-
 ლებლობა არ არსებობს, რომელიც გინდოდეს,
 ის აირჩიე. ყველა ამ შემთხვევაში ბრალი ნხო-
 ლოდ და მხოლოდ ბოლშევიზმის გამათანბირე-
 ბელი რეჟიმს ედება.

თუ სუფთა იდეალის რამე კიდევ შეგრჩენია,
 აქედან შესატყვისი დასკვნა უნდა გამოიტანო.
 ბუნებრივია, ადამიანს დაბადებითვე რალაც სა-
 ზოგადოებრივი ხასიათის ამბიცია ამოძრავებ-
 დეს, მაგრამ ამბიცია გონიერი, კეთილსინდისი-
 ერი და არა ავადმყოფური და მოყვასის ხარჯ-
 ზე განაღებულნი. როგორ საზნის ბუნებით
 გაჭჭრა ჯულაშვილის „სახელი და დიდება!“.

ჭეროსტრატემ, თავის სახელის უკვდავყო-
 ფად, ეკლესია დასწვა. ეს დანაშაული დღეს
 ღმირს იწევს, მაგრამ უდანაშაულო მოსახ-
 ლეობის მილიონობით განადგურება, გახრწნა
 და ჯოჯოხეთური ცეცხლის ანთება ღმირით
 ველარს დაგვირგვინდება.

დღეს თქვენ, რალაც არ ვაგონილი, ბუნებით
 გამორიცხული კოლექტიური ტირანიით, ცდი-
 ლობთ ფონს ვახვიდეთ, მაგრამ ჯიბეში ქრთმა-
 ნეთის დასაკლავ დანას ატარებთ. ვინ ვინ მოა-
 სწრობთ, ვინ ვის ვამეზავრებთ მასწავლებლე-
 ბთან? ასეთ პირობებში, ზედმეტია პირადი
 თუ საზოგადოებრივი ამბიცოების განაღდებაზე
 ფიქრიც. მართალია, დაბეჭდებული, განაზო-
 ლებული ხალხი ვერას დაგაკლვებს. მაგრამ მე-
 უობრუნი არ დაგინდობენ. ქრთი მხრით დანა გა-
 ლესილი „მეგობრები“, მცორე მხრით—ხალხის
 უსაზღვრო სიძულელი და შეჩვენება — აი შე-
 ნი იღვევანდელი ყოფნის სინამდვილე.

თვით რუსის ხალხი იობის მოთხინების პატ-
 რონია, მაგრამ მან, ზოგჯერ თავის აშვებაც
 იცის. მოიგონე ასწლოვანი ანარქია, რუსეთის
 ისტორიაში „სმუტნოე ქრემიათ“ წოდებული.



ეს სანარქისა მომდგარი კრემლის კარებზე და დღითი - დღე მოსალოდნელების მისი აბობოქრება, რომელსაც მრავალი მილიონი მსხვერპლად შეეწირება. რუსეთს შეუძლია ამ სასახლის გაღება, მრავალი მილიონი კიდევ დაიჩივება, მაგრამ რა მოუვა პატარა საქართველოს!? თავი დაუნებოთ ამ კატაკლიზმის შედეგებზე მსსლათს; მისი შედეგების გათვალისწინება შეუძლებელია, მაგრამ ახალი საბჭოთა აღსამიანის შექმნით ხომ ურის ზნეობრივი გადაგვარება მზადდება? ღმერთი რომ გასწყურეს და ბოლშევიკური ექსპერიმენტები გაგრძელდეს, ხომ ბოლო უნდა მოეღოს იმ ფასდაუღებელ თვისებებს, რომელთაც შექმნეს ქართველი ურის თავისებურება და უკვდავი სული? მამინ მივიღებთ რაღაც უსულს, უსახო და ამორთიულ მასას, რომელსაც ქართველის მხოლოდ გვარი შეიჩება. რასაკვირველია, ეს არი მოხდება; ადრე თუ გვიან და, უფრო ადრე ვიდრე გვიან, ქართველი ხალხი დასძლევს ამ საშინელებას და განშორდება გადაშენების საფრთხეს, მაგრამ ნუ თუ ამდენი სიბოროტის მონაწილეს დღეს მაინც არ ვაფიქრებს ეს გარეწობა?

ვალ.

ლ ა ლ ბ ა ქ რ ა ძ ე
(1884 - 1953)

ქართველი მოღვაწეთა ძველ თაობას სამუდამოთ განშორდა კიდევ ერთი მისი თვალსაჩინო წევრი — ლადო ბაქრაძე, წელიწადზე მეტი იყო ის ლოგინათ ჩავარდნილი. მეგობრების ზრუნვა მას არ მოკლებია, მაგრამ არაფერი არ ეშველა: ის განუკურნებელი სენით იყო შეპყრობილი და 12 ივლისს ვარდაცვალა არაბაჟონის საავათმყოფოში.

ლადოს პირველად ამ 45 წლის წინედ შეეხვდი ჟენევის უნივერსიტეტში. მას ქუთაისის გიმნაზია დაემთავრებია და ოდესის უნივერსიტეტში რამოდენიმე წლის ყოფნის შემდეგ შევიცარიანაში ჩამოსულიყო სწავლის გასაგრძელებლად.


ლადო იმ ხანებში გატაცებული იყო სოციალურ მეცნიერებათა საკითხებით და ისმენდა ჟენევის გემოჩენილ პროფესორების ლექციებს. ამავდროს მას აინტერესებდა ფილოსოფიური და მხატვრული ლიტერატურაც.

ჟენევა იყო ცენტრი, სადაც თავი მოეყარა მრავალრიცხოვან რევოლუციონურ ინტელიგენციას, რომელიც იქ გადმოხვეწილიყო 1905

წლის შემდეგ, რუსეთში რევოლუციის გაბატონების გამო.

..რკზხმ

ჟენევაში ხშირად იმართებოდა რეფერატები და მოხსენებები პოლიტიკურ, მეცნიერულ - ფილოსოფიურ თემებზე და ასეთი მოხსენებების



შემდეგ ადგილი ქონდა ახრთა გაცვლა - გამოცვლას და კამათს.

ლადო, ახალგაზრდა სოც. - დემოკრატი ზშირად იღებდა მონაწილეობას კამათში სხვადასხვა საკითხების შესახებ და საერთო ყურადღებას იპყრობდა მისი სერიალური მსჯელობით და ცოდნით.

შეირალებული შესაფერი ცოდნით ლადო საქართველოში დაბრუნდა. ის თანამშრომლობდა სოც. - დემოკრატიულ პრესაში, სადაც ის ათავსებდა პოლიტიკურ ხასიათის წერილებს. უმთავრესად კი ლადო ცნობილი იყო, როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი. გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ლადო ერთი ჩვენი გამოჩენილი ლიტერატურული კრიტიკოსთაგანი იყო; ამისათვის მას ყველაფერი ხელს უწყობდა: საერთო განათლება, წერის უნარი და ნიჭი, ჩვენი მშობლიური და რუსული მხატვრული ლიტერატურის ძლიერ კარგად ცოდნა. არა ნაკლებ კარგად ჰქონდა მას შეთვისებული ევროპის ლიტერატურაც. მეტად უყვარდა ფრანგული მწერლობა, განსაკუთრებით კარგად იცნობდა ენციკლოპედიკების დიდ ხანას და ფრანგ კლასიკებს. მან კარგად იცოდა უცხო ენებიც. ფრანგულად სწერდა და, ლაპარაკობდა ისევე ადგილად, როგორც ქართულად. მის მიერ ჩვენი ქართველი მწერლების ნაწერთა გარჩევა - დაფასე-



ბა და მათი სხვებთან შედარება ყოველთვის მეტათ ორგინალური და საინტერესო იყო.

პირველი დიდი ომის დროს ლადო ბაქოში ცხოვრობდა. იქ მასწავლებლობა ეწეოდა და ამავე დროს ორი წლის განმავლობაში ქართულ კოლონიას ხელმძღვანელობდა. აზერბაიჯანულ პრესაში ათავსებდა წერილებს საქართველოს და კავკასიის ერთი-ერთ დამოკიდებულების შესახებ. მეტად საინტერესო იყო მისი წერილები, რომელიც იმ დროს გაზეთ „კასპი“-ში იბეჭდებოდა.

საქართველოს თავისუფლების ხანაში ჩვენი მთავრობის მიერ სპეციალური დელეგაცია იყო წარუგზავნილი პოლონეთში ქართული საკითხის საპრობლემატიკო და ჩვენი ქვეყნის ოფიციალური ცნობისათვის ნიარდავის მოსამზადებლათ. ამ დელეგაციაში ლადოს მთავარი ადგილი ეჭირა და მას პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უწევდა ლადოს დიდი მუშაობა აქვე გაწეული იმ ხანებში პოლონეთის საზოგადოებრივ წრეებში და უურნალ-გაზეთებში. ის აცნობდა პოლონელებს საქართველოს მამინდელ მდგომარეობას, მოაგონებდა მათ პოლონელ და ქართველ ერის ბრძოლას წარსულში მეფის რუსეთის წინააღმდეგ და მოუწოდებდა მათ საერთო მტრის წინაშე ერთად ყოფნის და ერთად მუშაობისაკენ. ლადომ თავისი მუშაობით პოლონეთში, პოლონელების და ქართველების ურთი-ერთ გასაცნობათ და დასახლოებლათ, შესაფერისი ჩოლი ითამაშა და ჩვენ საქმეს დიდი ღვაწლი დასდო.

ემიგრანტული ცხოვრების მეტი ნაწილი ლადომ ოდენკურ-სოშიში გაატარა. ის თავმჯდომარეობდა ქართულ სათვისტომოს, უელოდა და სამსახურს უწევდა ყველა მის თანამემამულეთ, რითაც კი შეეძლო: ლექციების კითხვით, სამკითხველოს მოწყობით, ქარხნებში სამუშაოს მოვნით, ექიმებთან, თუ სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებთან წაყოლით და ბევრი სხვა. ამით მან ყველასი უღრმესი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. და მართლაც ეს პატივისცემა და სიყვარული მისმა თანამემამულეებმა ლადოს არ მოაკლეს და მას აგრძობინეს მისი მძიმე ავთმყოფობის ხანაში, როცა ის საავთმყოფოში ერთ წელზე მეტი იწვა: იქ მასთან თითქმის ყოველდღე მიდიოდენ, მის ამბავს ტყობილობდენ, მას მორალურად ამხნეებდენ და რითაც შეეძლოთ პატივს სცემდენ და ყურადღებას აქცევდენ.

როგორც ხეშოდ ვამბობდით, ლადო იყო ნიჭიერი და განათლებული უურნალისტი და სა-


ზოგადო მოღვაწე; თავისი თვისებითაც ის მეტად სიმბატიური პიროვნება იყო: დინჯი და წყნარი, დიდი წონასწორობის და ნაზი გრძობების მქონე, ფაქიზი და პატიოსანი, უაღრესად კეთილშობილი ადამიანი.

მისი პიროვნება, მისი კარგი ადამიანობა და კარგი მამულიშვილობა სამუდამოთ დარჩება მისი მცგობრების და თანამემამულეთა ხსოვნაში.

კ. გვარჯალაძე.

დავით კახელაძე

მცირე ავადმყოფობის შემდეგ, პარიზში, საავთმყოფოში, გარდაიცვალა დათიკო კახელაძე. დათიკო იყო ლარბი ოჯახის შვილი. მამა მისი იყო თეოდი თფილისში, ჰყავდა მრავალრიცხოვანი ოჯახი, რომლის შესახებ იტყულებული იყო ემუშავა დღიან-ღამიანად. ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ მან შეილებს უმაღლესი განათლება ვერ მიაღებინა.



პირველდაწყებითი სკოლის დასრულების შემდეგ დათიკო შეიყვანეს თფილისის სახელოსნო სასწავლებელში, რომელიც მან დასრულა ცხრა ასიან წლებში. ამ სასწავლებელში უმთავრესად ასწავლიდენ სხვადასხვა ხელობას. ამ სკოლის დასრულების შემდეგ დათიკო შევიდა სამსახურში როგორც ქარვალი, რკინის გზის სატელეგრაფო სახელოსნოში, სადაც ისეთი ნიჭი და ენერჯია გამოიჩინა, რომ მსლე გახდა „მასტერი“ და გამგეც.



ამავე დროს ის დაუსახლოვდა იმ დროს არსებულ არალეგალურ წრეებს. ამ წრეებში მან ისეთი ნდობა დაიმსახურა, რომ მალე არჩეულ იქნა თფილისის ს.ად. კომიტეტის წევრად. რევოლუციონერულმა მუშაობამ იმ დროს არ იყო ადვილი საქმე: დაჭერა, გადასახლება, კატორღა მუდამ თან სდევდა ასეთ მუშაობას. მსგავსი დათიკო არ იერიდებოდა არც ერთ ამას და თავის მუყაითობით დიდ სამსახურს უწევდა საერთო მოძრაობას.

თუ რამდენად ენდობოდნენ მას ამხანაგები, საკმარისია ითქვას, რომ, როცა თფილისის კომიტეტი შეუდგა ბომბების დამზადებას — ბომბების ერთი ნაწილის ზომამდე გაქლიბვა, დავალებული ჰქონდა დათიკოს, რაზედაც ის მუშაობდა ღამ-ღამობით. ეს მუშაობა მეტად სახიფათო იყო, მაგრამ დათიკო არ დარიდებია მას და კიდევაც დაამთავრა დავალება, ისე, რომ არც კი გაუგია ვინმეს, გარდა იმათისა, რომლებთანაც მას კავშირი ჰქონდა.

საერთო კონსპირაციული მუშაობასთან ერთად ის დიდ მონაწილეობას იღებდა ღია საზოგადოებრივ მუშაობაში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის თფილისის მუშათა პირველი კომუნისტების „აღორძინება“-ს დაარსებაში, რომლის გამგეთ ის დიდხანს იყო. აქ მან ისეთი ნიჭი და უნარი გამოიჩინა, რომ, როცა შემდეგ კომუნისტთა კავშირი დაარსდა, ის ერთხნად იქნა არჩეული მის პირველ გამგეობაში.

ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დროს, ის მიიწვიეს მომარაგების სამინისტროში, რომელმაც ის დანიშნა თავის წარმომადგენლად ბათუმში. ბათუმი იმ დროს ერთად-ერთი კუნჭული იყო, საიდანაც ყოველი მხრით ალყაშემორტყმულ ქვეყანას შეეძლო რაიმე საქონლის მიღება. საჭირო იყო დიდი უნარი, გამოცდილება და მრავალ-დაბრკოლებათა გადალახვა, რომი როგორცმე ესა თუ ის საქონელი ბლოკადის წესებიდან გამოგეგლიჯა, განსაკუთრებით პური. და თუ ჩვენს ქვეყანას იმ დროს სრული დამშევა არ ჰანუცდია — ეს არანაკლებათ მიეწერება დათიკო კახელაძეს.

ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ ის სხვებთან ერთად უცხოეთში გადმოიხვეწა. აქ ცხოვრობდა, უმეტესად, საფრანგეთში, საფ ლევილში და თავის პატიოსანი შრომით თავის თჯახნსაც ინახავდა და სხვებსაც პატივს სცემდა.

გარდაიცვალა სრულიად მოულოდნელად. არავინ ფიქრობდა თუ ის ასე მძიმე ავად იყო, რადგან უკანაკნელი დღემდე მუშაობა არ დაუ-

ვლია. დასაფლავებულია ლევილის ძმათა სასაფლაოზე. დასაფლავებას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა ვრ. ურატაძემ, რომელმაც ვრცლად აღნიშნა განსვენებულის მუშაობა, როგორც საზოგადოებრივ, ისე რევოლუციონერ მოძრაობაში.

გრ. ურ.

წერილი კალაქის მიხატო

ბატონო ირედაქტორო,

თქვენი უურაღის მეთორმეტე ნომერში დაბეჭდილი ჩვენი მოხსენების: „საქართველოს პრობლემის უმთავრესი მომენტები“-ს ინტერპრეტაციის გამო, ვთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგ დამატებებს და შენიშვნებს:

მოხსენების პირველ ნაწილში შევხვით საქართველოს პრობლემის—1901 წლიდან—დღემდის—მთელი რიგი უმთავრესი მომენტების შინაარსის გაანვითარებას; ამ საქმის მონაწილე ჩვენც ვიყავით.

მეორე ნაწილში ვრცლად შევჩერდი დღევანდელ მეტად მნიშვნელოვანი მომენტის გაშუქებაზე, სახელდობრ, ვისბადენის, შტარენბერგის და მიუნხენის კონფერენციებზე დაარსებულ საკოორდინაციო ცენტრში ქართული სექციის თანამშრომლობის ეროვნული თავალსაზრისით დასახებუთე ბაზე, და რომი ეს სექცია მონაწილე გახდა საბჭოთა კავშირში შემავალ დაპყრობილ ურთა საერთო ფრონტისა — დაკარგულ თავისუფლების აღდგენისათვის მებრძოლისა; და რომ ამ საერთო ფრონტის მიერ, უკრაინის და ბელორუსიის დელეგატების მონაწილეობით, შემუშავებული „მემორიალი“ გადაეცა 31 მარტს ამერიკულ კომიტეტის თავმჯდომარეს ადმირალ სტივენსს.

ამ „მემორიალის“ მნიშვნელოვან და ყოველმხრივ დასაბუთებულ ისტორიულ შინაარსს ვინც გაეცნობა მისთვის ამყარა იქნება, რომ აქ ეროვნული ხაზი და ინტერესი საგვებით დატულია და სწორეთ ასეთ ნიადაგზე დგომას წერით და სიტყვით ქართულ სექციას ჩვენ უჩრევდით.

ჩვენ მიერ წაკითხული იქნა „მომორიალის“ მხოლოდ პრაქტიკული დასკვნა ოთხი მსუხლიდან შემდგარი, რაც საგვებით ეთანხმება ჩვენს მიმართულებას და რასაც ჩვენი მთელი მორალური დაკმაყოფილების განცდით ვეგებებით. აი ჩვენი მოხსენების ძირითადი დედა-აზარი (quintessence) სწორედ ამაშია.



და ამიტომ მოხსენების ფაქტიური მასალიდან გამომდინარე სიმართლედ გვადასტურებს მთელი ჩვენი პოლიტიკური, ეროვნული შეგნებით და კეთილ-სინდისიერით შეფასებით უშიშრათი აღვიაროთ ქართული სექციის „მემორალის“ საფუძველზე დღევანდელი მუშაობა საერთაშორისო ასპექტებზე, ყოველი ეროვნულად განწყობილ პატრიოტისათვის მოსაწონი და დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს.

ასეთივე საქართველოს პრობლემის მომენტის დღევანდელი შინაარსი, რომლის გაძლიერება - გაფართოება ყოველი ქართველისათვის ანგარიშ გასაწევია. ამით გადავიღლება ისტორიულად შექმნილი თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას გამოყენება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის საქმეში.

ამ მიმართულებით მოქმედებისათვის მოუწოდებთ ყველა იდეურ-ეროვნულად შეპყრობილ ქართველ ემიგრანტს.

პირადათ კი ჩვენი პოზიცია იყო წინეთ და ასეთივე იმ დღესაც: გვერდში ამოუდგეთ და დახმარება გაუწიოთ ყველა იმას, იქნება ეს ცალკე პირი, თუ რომელიმე ორგანო, სადაც საქართველოს საკეთილდღეო საქმე სწარმოებს.

ამავე დროს ასეთი საერთო განწყობილება ჩვენი ემიგრაციის ეროვნულ-პოლიტიკური იდეურ გაერთიანებისათვის საუკეთესო საშუალებას მოგვცემს.

იოს. გობეჯია.

ახალი წიგნი

„მებრძოლ საქ.“ ფრანგულ ენაზე გამოსცა ბ. გ. კერესელიძის შრომა „Le destin d'un peuple — La Géorgie“. წიგნი შეიცავს 60 გვ. და გამოცემულია საპროპაგანდო მიზნით. წიგნში აღნიშნულია ქართველი ერის ისტორიული განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები და თავიდან ბოლომდე იზიდავს მკითხველს თავისი მარტივი, ადვილად მისაწვდენი ფრანგული თხრობით. მზადდება ამ შრომის გამოცემა ინგლისურ ენაზე.

მალაგის გამოცხადება

უღრმეს მადლობას ვუცხადებ ყველა იმ პატივცემულ პირთ, რომლებმაც ჩემი საყვარელი ძმის ნიკიტას, გარდაცვალების გამო თანაგრძნობა გამომიცხადეს. ნიკო იმნაიშვილი.

ბ. ივ. გეგეჯორის მოხსენება

კვირას 27 სექტემბერს, საგ. საქ. მინისტრმა ბ. ლვ. გეგეჯორმა, პარიზის ქართულ სოც. - დემ. ორგანიზაციის კომიტეტის მოწვევით, გააკეთა გრძელი მოხსენება ქართულ ეროვნულ საბჭოს წინდინარე მუშაობის და საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. მოხსენებას ორგანიზაციის წევრების ვარდა დაესწრო დიდძალი თანამგრძნობი საზოგადოება.

ბ-ნ ლ. ბელიაშვილის მოხსენება

კვირას 4 ოქტომბერს „სოსიეტე სავანტ“-ის დარბაზში, ბ. ლ. ბელიაშვილმა წაიკითხა მოხსენება „რუსთაველის და დანტეს იდენტობა“. ეს იყო პირველი ნაწილი მთელ რიგ მოხსენებათა, რომელიც დამზადებული აქვს ავტორს. საკითხისადმი ორგინალური და მართლაც რევოლუციური მიდგომით, მოხსენებამ გამოიწვია უდიდესი ინტერესი დამსწრე საზოგადოებაში.

სათვისტომოს გამგეობა გვთხოვს გამოცხადოთ: სოციალური თუ სხვა დახმარების მიზნით, გამგეობის წევრი ქ-ნი ირინე ბაგრატიონი მიიღებს თანამემამულეებს, 15 ოქტომბრიდან, ყოველ ხუთშაბათობით, დილის 9½—12 საათამდე, ქართულ ოფისის შენობაში, 7, rue Copernic, Paris 16 — ტელ. Kle 22-05.

სამგლოვიარო ცნობები

ამა წლის 28 აგვისტოს განუკურნებელი სენით გარდაიცვალა თამარ რუხაძისა. დასაფლავება მოხდა 2 სექტემბერს, პარიზის მანლობელ „Bagneux“-ს სასაფლაოზე. (რედაქცია გამოსთქვამს თავის ღრმს თანაგრძნობას ასე უღრმოოდ დაობლებულ მისი ქალ-ეაჟისადმი.

ინავე „Bagneux“-ს სასაფლაოზე, ^{სახელ} 25 ოქტომბერს, ნაშუადღევს 3 საათზე, შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი, დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობის ფინანსთა მინისტრის მოადგილის იოსებ ელიგულაშვილის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად. შეხვედრა მთავარ შეკავალთონს.

უადგილობის გამო გადაიდო შემდეგი ნომრისათვის წერილები: ქ-ნ თ. პაპავასი, კახაბერიძის, ზ. კვიციანის, გ. დიდუბელიძის და წერილი ბ.კლინიდენს.